ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

№ 84
(11 541)

26 – 29 ოქტომბერი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# შეიძლებოდა თუ არა უკეთ გამოსვლა?

კრასნოიარსკში დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან გუნდი სრული შემადგენლობით გაემგზავრა, მაგრამ ჩვენი სამბისტების წარმატებებს შეჩვეულები, შედეგებით გულმოკლულნი დავრჩით. ჩვენი გუნდიდან მხოლოდ ორი გახდა პრიზიორი — გორელი აკაკი ხანიშვილი (57 კგ) და ასევე გორელი ნიკოლოზ ბიბილაშვილი (82).

დღეს, პარასკევს, 13 საათზე, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სხდომათა დარბაზში ჩვენი ნაკრები გუნდის ხელმძღვანელობა გამართავს პრესკონფერენციას, სადაც მრავალ კითხვას გაეცემა პასუხი, მათ შორის მთავარს: შეიძლებოდა თუ არა კრასნოიარსკში უკეთ გამოსვლა?



# დავით ჭულუხიძემ მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვა

ათენში დასრულებულ თანამედროვე ხუთჭიდელთა დიდ საერთაშორისო ტურნირში მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენებთან ჭიდილში წარმატებით იასპარეზა თბილისელმა დავით ჭულუხიძემ (უფროსი მწვრთნელი ა. შეროზია). ინტერესი ამ ტურნირისადმი მით უფრო ამაღლებული იყო, რომ პირველი რვა ადგილი სპორტსმენებს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს აძლევდა. დათო ჭულუხიძემ 5348 ქულა მოაგროვა, მცირედით ჩამორჩა მესამე პრიზიორს და მეოთხე ადგილი დაიკავა, რაც მას გაისად მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას აძლევს.










## ბევრი მედლები ერევნიდან

3




# გაზეთის დაბეჭდვის წინ:

## გაიხსნა ძიუდოს ინსტიტუტი

საფრანგეთი პირველი ქვეყანაა ევროპაში, რომელმაც გახსნა ძიუდოს ინსტიტუტი. ინსტიტუტი გაიხსნა პარიზში და ტოკიოს ცნობილი „კოდოკანას“ ანალოგია. ინსტიტუტს დაეთმო ქვეყნის ძიუდოს ფედერაციის ადმინისტრაციული კორპუსი, აქვს რამდენიმე სავარჯიშო დარბაზი, სამეცნიერო ცენტრი, სასტუმრო, როგორც ეროვნული ნაკრებისთვის, ისე სტუმრებისთვის, აგრეთვე საშეჯიბრო კომპლექსი.

ძიუდოს ინსტიტუტის გახსნა პარიზში შემთხვევითი არ არის. ამ ქვეყანაში ნახევარ მილიონზე მეტი ძიუდოისტია, ჰყავს უამრავი სხვადასხვა რანგის ჩემპიონი.

პარიზის მსგავსად ძიუდოს ინსტიტუტის გახსნას გეგმავენ მოსკოვში. ამასთან, რუსეთში, სადაც საფრანგეთზე ოთხჯერ ნაკლები ძიუდოისტია, შემუშავებულია სპორტის ამ სახეობის განვითარების პროგრამა, რომელიც რეგიონებსაც მოიცავს.

## ოლიმპიური ჩემპიონი ნარკოტიკების გადატანისას დააკავეს

სიდნეიში ოლიმპიური ჩემპიონი ჯონ დრამონდი ლოს-ანჯელესის აეროპორტში დააპატიმრეს მარიხუანის გადატანის ეჭვით. 4X100 მეტრზე ესტაფეტაში აშშ-ის ნაკრების კაპიტანი ჯონ დრამონდი შეიძლება უმძიმეს სისხლის სამართლის საქმეში გაეხვიოს. დრამონდი 20 ათასი დოლარის საწინდრით გაათავისუფლეს. საქმეში ფიგურირებს ორი ყუთი მარიხუანა, რომელიც დინამიკებს შორის შენიღბული აღმოჩნდა.

სხვათა შორის, 32 წლის დრამონდი ადრე სასტიკად გააკრიტიკეს იმისთვის, რომ სიდნეიში გამარჯვების შემდეგ საპატიო წრის შემოვლისას დრამონდმა კუნთების დემონსტრირება მოახდინა ეროვნული ჰიმნის ფონზე.




CHAMPIONS LEAGUE

პირველი ჯგუფური ეტაპი (V ტური)

6-7







## ჯორდანის ახალი რეკორდი

სპორტში თავის მრავალრიცხოვან რეკორდებს კიდევ ერთი შემატა — კალათბურთის ეს ლეგენდა ორმოცდამეათედ მოხვდა ამერიკაში ყველაზე პოპულარული სპორტული გამოცემის ჟურნალ „სპორტ ილუსტრაიდედის“ გარეკანზე. ამჯერად ჟურნალის გარეკანზე ჯორდანი მკითხველმა იხილა თავისი ახალი კლუბის სპორტული ფორმით. ჯორდანის პირველი ფოტო ამ ჟურნალის გარეკანზე 1983 წლის 18 ნოემბერს გამოჩნდა.




## გრაფს და აგასს 10 მილიონს სთავაზობენ... ბავშვში

შტეფი გრაფი და ანდრე აგასი 10 მილიონ დოლარს მიიღებენ თუ მისცემენ იმის გარანტიას, რომ მათი შვილი საჩოგბურთო ტურნირში ითამაშებს 2017 წელს. ასეთი შეთავაზება ცნობილ ჩოგბურთელებს მისცა ნიუ-ჯერსის შტატში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირის ორგანიზატორმა ჯონ კორფმა. დეკემბერში გრაფს და აგასის შვილი შეეძინებათ. უკვე ცნობილია, რომ ეს იქნება — ბიჭი. შეგახსენებთ, რომ გრაფი და აგასი ოფიციალურად დაქორწინდნენ.

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 10 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 108 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

## 2002 წლის ოლიმპიადის გადადების საკითხი არც კი განიხილება

სოლტ-ლეიკ-სიტიში ზამთრის 2002 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი აცხადებს, რომ ოლიმპიადის გადადების საკითხი საერთოდ არ დგას დღის წესრიგში 11 სექტემბერს აშშ-ში განხორციელებული ტერაქტების გამო. უკვე ამ დღეებში, კერძოდ, 29-31 ოქტომბერს სოლტ-ლეიკ-სიტში გაიმართება თამაშების ჩატარების საკოორდინაციო საბჭოს სხდომა, რომელზედაც უსაფრთხოების საკითხსაც განიხილავენ. ერთადერთი მაღალჩინოსანი, რომელიც აცხადებს, რომ ქვეყანაში, რომელიც ომს აწარმოებს, არ უნდა ჩატარდეს ოლიმპიური თამაშები, ანდა, თამაშების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე უნდა შეწყდეს ყოველგვარი საბრძოლო მოქმედებები, არის სოკ-ის წევრი ნორვეგიიდან გერხარდ ხეიბერგი. ამ აზრს არ იზიარებს სოკ-ის პრეზიდენტი ჟაკ როგი, რომელმაც ამას წინათ განაცხადა, რომ ოლიმპიური კომიტეტი არ აპირებს თამაშების გადატანას.

## ნორვეგიელებს ნება დართეს არ წავიდნენ ოლიმპიადაზე

„ლელო" ამ დღეებში წერდა, რომ ნორვეგიელი მოთხილამურეები ეჭვს გამოთქვამდნენ თეთრ ოლიმპიადაზე გამგზავრებაზე, სოლტ-ლეიკ-სიტში, 2002 წელს. ნორვეგიის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ თუ მოთხილამურეები არ წავლენ თამაშებზე, ისინი ამისთვის არ დაისჯებიან. ჯერჯერობით შეშფოთებას უსაფრთხოების გამო გამოთქვამენ ხილდე პედერსენი, კრისტენ შელდალი, ერლინგ იევნე, რომლებიც ამჟერად ნორვეგიის ნაკრებთან ერთად იტალიაში არიან წინასაოლიმპიადო შეკრებაზე.

## სამხრეთის ოლიმპიადა დაიწყო

24 ოქტომბერს ერთდროულად სამ ქალაქში – პიატიგორსკში, კისლოვოდსკში და ესენტუკში დაიწყო სამხრეთ რუსეთის სპორტსმენთა ოლიმპიადა. პროგრამაშია სპორტის 17 სახეობა. შეჯიბრებები დასრულდება 27 ოქტომბერს. ყველაზე მრავალრიცხოვანია დონის სპორტსმენთა გუნდი – 147 მონაწილე.

ორგანიზატორები თვლიან, რომ ეს ასპარეზობა მშვიდობისა და თანხმობის ხიდად უნდა იქცეს რუსეთის სამხრეთ ნაწილში.

## სამას მოხალისეს უარი უთხრეს

ოლიმპიური თამაშების საზოგადოებრივ საწყისებზე მომსახურება, ყველასათვის საამაყოა. თეთრი ოლიმპიადის ორგანიზატორებს ათასობით ამერიკელმა შესთავაზა თავისი სამსახური. თითოეული მათგანის წარსულს გამოწვლილვით სწავლობენ. აღმოჩნდა, რომ სამას მოხალისეს ადრე კანონთან ჰქონია კონფლიქტი. ჯერჯერობით მსურველთა მხოლოდ 3 პროცენტია შესწავლილი. თითოეულის წარსულის გამოძიება თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს ათი დოლარი უჯდება. ვარაუდობენ, რომ ეს პროცედურა, საბოლოოდ, დაახლოებით მილიონი დოლარი დაუჯდება ოლიმპიადის მასპინძლებს. ტერაქტების შიშით კი ვინ იცის, კიდევ რამდენს ეტყვიან უარს მოხალისეობაზე.




ბარ'ჯა ქართული ჭიდაობისა. თბილისობაზე, უხვად იქნება წარმოდგენილი სპორტული შეჯიბრებები

## რუსეთ-იუგოსლავიის ეოკ-ების ხელშეკრულება

იუგოსლავიისა და რუსეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმეს. მთავარი მიზანია ამ ორი ქვეყნის სპორტული მეგობრობის განმტკიცება. ხელშეკრულება ითვალისწინებს ერთობლივი პროექტების რეალიზებას. გარდა ამისა, რუსეთის სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაცია დახმარებას გაუწევს იუგოსლავიას სპორტის 3 სახეობების განვითარებაში.

## საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის დადგენილება

### ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტსმენების მონაწილეობის 50 წლისთავის აღნიშვნის შესახებ

**2002 წლის ზაფხულში სრულდება 50 წლისთავი მე-15 ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩატარებიდან (ქ. ჰელსინკი, ფინეთი. 1952 წლის 19 ივლისი — 3 აგვისტო). ოლიმპიურ თამაშებში პირველად მიიღეს მონაწილეობა ყოფილი საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა, რომელთა შემადგენლობაში საქართველოს 14 წარმომადგენელი იყო. მათ მიერ მოპოვებულია 9 მედალი (3 ოქრო, 4 ვერცხლი, 2 ბრინჯაო), რითაც მნიშვნელოვანი წვლილია შეტანილი საბჭოთა სპორტსმენების წარმატებით გამოსვლაში.**

**ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტსმენების მონაწილეობის 50 წლისთავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით სეოკ-ის აღმასკომი ადგენს:**

1. 2002 წლის 1-7 ოქტომბერს, საქართველოს სპორტისა და საქართველოს ოლიმპიური დღეების ფარგლებში საზეიმოდ აღინიშნოს ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის 50 წლისთავი.

2. შეიქმნას საიუბილეო თარიღის აღნიშვნის საორგანიზაციო კომიტეტი და სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) საორგანიზაციო კომიტეტი: *ჯ. ბაგრატიონი* — თავმჯდომარე, სეოკ-ის პრეზიდენტი; *ლ. ხაბელოვი* — თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ოლიმპიური ჩემპიონი; *გ. თოფაძე* — სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი; *რ. სიხარულიძე* — სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, სეოკ-ის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე; *ლ. თედიაშვილი* — ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი; *დ. ციმაკურიძე* — პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან; *რ. რურუა* — ოლიმპიური ჩემპიონი; *ე. ზენაიშვილი* — სეოკ-ის გენერალური მდივანი; *ვ. კანკავა* — სეოკ-ის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე; *ე. ბერიშვილი* — სეოკ-ის აღმასკომის წევრი; *გ. ხაჩიძე* — სეოკ-ის შიდა ქართლის ორგანიზაციის თავმჯდომარე, სეოკ-ის წევრი; *თ. გაჩეჩილაძე* — გაზეთ „ლელოს" მთავარი რედაქტორი, სეოკ-ის წევრი.

ბ) სამუშაო ჯგუფი: *ე. ზენაიშვილი* — თავმჯდომარე, *დ. ციმაკურიძე, ნ. მესხი, ვ. მეკრავიშვილი, დ. კინწურაშვილი, კ. ღლონტი, მ. ჯუღელი.*

3. სამუშაო ჯგუფმა (ე. ზენაიშვილი) საიუბილეო საორგანიზაციო კომიტეტს დასამტკიცებლად საიუბილეო ღონისძიებათა გეგმა წარუდგინოს ა.წ. 1 დეკემბრისთვის.

საქართველო
GEORGIA

## დიახ, მთავარია მხარდაჭერა მიწიდან...

ერთი წელიწადი შეუსრულდა „დიდი აბრეშუმის გზის ჰაერნაოსანთა საერთაშორისო ასოციაციას". შარშან გაზეთი „ლელო" მასმედიიდან ერთ-ერთი პირველი მიესალმა (№94, 2000წ. — „ვიფრენთ, თუ მიწიდან მხარს დაგვიჭერენ") ამ ასოციაციის შექმნასა და მის თაოსნობას — დიდი აბრეშუმის გზის დალაშქვრას საჰაერო ბურთებით.

ამ მიზნის შესასრულებლად ერთი წელიწადი საკმარისი არ აღმოჩნდა და ექსპედიცია შედგება 2002 წლის შემოდგომაზე, ხოლო წლეულს თბილისობაზე — ამ შესანიშნავ დღესასწაულზე თბილისელები და მათი სტუმრები საჰაერო ბურთს პირველად იხილავენ თბილისის ცაზე. იგი სტარტს რიყეზე აიღებს.






შეგახსენებთ ჩვენს ინიციატივას: იქმნება ორი საერთაშორისო ექსპედიცია. ერთი სტარტს აიღებს ოსაკაში (იაპონია) და მეორე ლონდონში (ინგლისი). ისინი ერთმანეთს შეხვდებიან თბილისში 2002 წლის „თბილისობაზე".

ბევრი რამ გაკეთდა ასოციაციის მიერ ამ ერთ წელიწადში. აღვნიშნავთ მთავარს: — საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მოვიდა წერილები მსოფლიოს 26 ქვეყნიდან, რომელთაც გამოთქვეს სურვილი მიიღონ მონაწილეობა საჰაერო ექსპედიციაში. სასურველია, რომ საქართველოს სპორტულმა ორგანიზაციებმაც იზრუნონ ამ გრანდიოზულ ღონისძიებაში საქართველოს ჰაერნაოსანთა გუნდის მონაწილეობაზე. ასოციაციის ძირითადი საქმიანობა ინფორმაციული იყო. მსოფლიომ გაიგო ამ ღონისძიების შესახებ. სამწუხაროდ, ვერ მივიღეთ შარშან ვიზა (ეს ცოდვა ჩვენი საკონსულოს ჩინოვნიკებზე იყოს) შვეიცარიაში ჩასასვლელად, სადაც მსოფლიოს ჰაერნაოსანთა ფიესტა ტარდებოდა. სამაგიეროდ, წლეულს შევძელით რუსეთის საზღვრის გადალახვა და ასოციაციის პრეზიდენტმა ვ. მალოვიჩკომ მონაწილეობა მიიღო საჰაერო ბურთით ფრენაში ველიზნოვოდსკის საერთაშორისო სპორტულ ფორუმზე. იქიდან რუსეთის ერთი ეკიპაჟი თბილისში ჩამოიყვანა და როგორც იტყვიან, ნავსი გატყდა. თბილისში დაიწყო ჰაერნაოსანთა პირველი გაფრენები.

ჩვენი ასოციაციის მოკლე ანგარიშის დასასრულს დავესესხები გაზეთ „ლელოში" შარშანდელ გამოქვეყნებული სტატიის სათაურს — „დიახ დავფრინავთ და კიდევაც ვიფრენთ, თუ მიწიდანაც დაგვიჭერენ მხარს".

**მარლენ მელქაძე,**
„დიდი აბრეშუმის გზის" ჰაერნაოსანთა საერთაშორისო ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

## „ჩვენი ყველა ნაბიჯი ბედისწერაა"...



**კობა ტყეშელაშვილი.** დაიბადა 1975 წლის 18 აპრილს. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში. 1993 წელს მიწვეული იყო ამერიკაში, სადაც წარმატებით იასპარეზა. 1998 წელს საქართველოს ჩემპიონატში „ბრძოლა წესების გარეშე" გამარჯვებული. პროფესიულ რინგზე ჩატარებული აქვს 30 ბრძოლა, აქედან 29 მოიგო. ამას წინათ, დაბრუნდა იაპონიიდან, სადაც შესარჩევი ტური ჩატარდა რინგსში. შეხვდა იაპონელ ტიუშ კოსაკას 10 წუთიანი ორთაბრძოლის შემდეგ, გამარჯვება მოიპოვა.

● ***კობა, თუ გიფიქრია, რომ საზღვარგარეთ გაგეგრძელებინა დაოსტატება და გამოსვლები?***

– როგორ არა, მიფიქრია, მაგრამ მირჩევნია საქართველოში ვიყო და მისი სახელით გამოვიდე, ვიდრე ვინმემ „მიყიდოს". ამერიკაში ყოფნისას მივიღე შემოთავაზება დარჩენაზე, მაგრამ უარი ვთქვი. ისე, აქ, სამშობლოში არ მაწყენდა კარგი სპონსორი, რომ უფრო ნაყოფიერად მოვემზადო და ჩემი მიზნები რეალობად ვაქციო.

● ***როგორია ამჟამად შენი წინა საბრძოლო განწყობა?***

– ვცდილობ არ მოვდუნდე, ვიყო აბსოლუტურად მობილიზებული, ოპტიმისტური. ისე, ბედი წყვეტს ყველაფერს. ჩვენი ყველა ნაბიჯი ბედისწერაა.

● ***უახლოეს მომავალში თუ გაქვს სადმე მიწვევა?***

– დიახ, 16 ოქტომბერს მივემგზავრები იაპონიაში. იქ ტარდება მსოფლიო ჩემპიონატი რინგსში. მოწინააღმდეგე იქნება ავსტრალიელი ქრისტეფორე ხეისმანი, რომელიც ჩემზე ასაკითაც დიდია და გამოცდილებაც მეტი აქვს. მივლინება ალბათ 10 დღე გაგრძელდება.

● ***ხშირად, სპორტსმენებს, თავიანთი „მფარველები", ასე ვთქვათ, ხელის გამმართავები ჰყავთ, თქვენ?***

– არ ვიცი რამდენად ლოგიკურად გპასუხობ, მაგრამ, საერთოდ, ყველაფრისათვის, ჩემს მიმართ გაწეული დახმარებისათვის უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო ფირმა „ყაზბეგს" და გოგი თოფაძეს, ბორის საყვარელიძეს. თავისუფალი ჭიდაობის ფედერაციას და ჩემს ძმას ზაზა ტყეშელაშვილს. აგრეთვე საქართველოს რინგსის პრეზიდენტ ბატონ ნოდარ ექვთიმიშვილს, რომელიც ძალიან ბევრს მუშაობს სპორტის ამ სახეობის სასიკეთოდ. ჩვენთან რინგსის დანერგვა სწორედ მისი დამსახურებაა. სპონსორი, ცხადია, მჭირდება, არა პირადი, არამედ საქართველოს სახელისათვის.

ესაუბრა
**ლელა ლაშხი**
თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

## სიტყვა საქმიანი

### სპორტსმენებს და სპორტის მუშაკებს პროფკავშირმა თავი პრაქტიკული საქმით შეახსენა

საქართველოში სპორტის სიყვარული ყველა ქართველის გულში ღვივის და ბევრი მათგანი, ვისაც ქველმოქმედების შესაძლებლობა აქვს, ამ სიყვარულს თანადგომითაც გამოხატავს. ამ დღეებში სწორედ ასეთი ადამიანების კეთილშობილებამ ჩაუნერგა ყველას, უპირველესად სპორტის ვეტერანებს იმის იმედი, რომ მათზე სახელმწიფო თუ არა, აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილი მათზე კერძო თაყვანისმცემლები მაინც ზრუნავენ. ცხადია, ასეთი ადამიანების იმედი ჰქონდა სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირს (თავმჯდომარე ა. გუნაშვილი), როცა ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა მატერიალური შემწეობის თხოვნით მიმართა ცალკეულ ფირმებს, კომპანიებს, ბიზნესმენებს.

„გამოხმაურებამ მოსალოდნელს ვერ გადააჭარბა, ერთეულები კი, როგორც შეეძლოთ, ისე დაგვიდგნენ მხარში. ვეტერანებმა იგრძნეს, რომ ჭეშმარიტ პატრიოტებს მათდამი სიყვარული არ განელებია" – ამბობს ა. გიუნაშვილი. ამ სიყვარულის დემონსტრირება კი გასულ ოთხშაბათს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში მოხდა – ვეტერანებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ქველმოქმედთა ფულადი დახმარება. სამმა მათგანმა კი სადაზღვევო კომპანია „იმედის" 5-5 ათასი აშშ დოლარის ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი მიიღო. დანარჩენ ორგანიზაციებს შორის, ვინც ქველმოქმედება გასწია, არიან: ნავთობის კორპორაცია (გ. ჭანტურია), შპს ავერსი (პ. კურტანიძე), ს/ს „ლეჩევა – გეო" (კ. სხვიტარიძე), საავთიაქო ფირმა „პოპ" (კ. ოქრუაშვილი), რკინიგზის დეპარტამენტი (ა. ჩხაიძე), სადაზღვევო კომპანია „იმედი-ლ" (ა. ტუღუში), სადაზღვევო კომპანია „ალდაგი" (თ. მეზურნიშვილი), შპს „ოკრიბა" (ზ. ყვავაძე), შპს „თათმანი" (ო. სირბილაძე).

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ ნავთობის კორპორაცია, რომლის პრეზიდენტის გია ჭანტურიას თანმიმდევრული თანადგომა სპორტისადმი, მისი ჭაბუკობის დროიდანაა ცნობილი, იქვე მუშაობს სპორტის ცნობილი ქომაგი გივი ბადაშვილი, რომელიც ამ შეხვედრას ესწრებოდა.

იმავე შეკრებაზე სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილემ იროდი ბეჟაშვილმა გამოაქვეყნა ამ სფეროს მუშაკთა პირველი სპორტული თამაშების შედეგები. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს „შევარდენის" წარმომადგენლებმა, მეორეა – აფხაზეთის ნაკრები, მესამე – სროლის ფედერაცია. **სახეობების მიხედვით ადგილები ასე განაწილდა. სროლა:** 1. სროლის ფედერაცია, 2. სპორტის სასახლე, 3. აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტი; **მაგიდის ჩოგბურთი:** 1. „შევარდენი", 2. აფხაზეთი, 3. კვლევითი ინსტიტუტი; **ნარდი:** 1. ტანვარჯიშის ფედერაცია, 2. სპორტის აკადემია, 3. სროლის ფედერაცია; **ჭადრაკი:** 1. ჭადრაკის სასახლე, 2. აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტი, 3. სროლის ფედერაცია.

გამარჯვებულები და პრიზიორები დააჯილდოვეს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა, საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარემ ირაკლი ტუღუშმა, ა. გიუნაშვილმა, ვეტერანმა სახელოვანმა სპორტსმენებმა და სპორტის მუშაკებმა.

სოსლან ანდიევის საერთაშორისო ტურნირი ● ოსთა და ქართველთა მეგობრობა

# ფალავანთა ძმობა ხალხთა ძმობაა

**ვლადიკავკაზში ქართველთა და თბილისში ოს ფალავანთა სტუმრობას, მუდამ საზეიმო ელფერი და გულწრფელი სიხარული ახლავს. სულ ერთია, ესენი ვეტერანები იქნებიან, ახალგაზრდები თუ მათი ერთობლივი ამქარი. ოს ხალხთა საუკუნოვანი ძმობა კი ახალ ხარისხში აიყვანეს საბჭოთა ეპოქის დროინდელმა ქართველმა და ოსმა ფალავნებმა. ტრადიცია გრძელდება.**

ამ დღეებში ვლადიკავკაზში თავისუფალ ჭიდაობაში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის და ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის სოსლან ანდიევის ტრადიციული ტურნირი ჩვენი მეგობრობის კიდევ ერთ ნათელ დადასტურებად იქცა. ფაქტობრივად, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას მასპინძლებმა მისცეს ულიტიმო ვიზა ანუ იმდენი კაცი შეეძლოთ შეეყვანათ დელეგაციაში, რამდენსაც მოისურვებდნენ. ამან ჩვენებს მისცა შესაძლებლობა არა მხოლოდ სრული გუნდით, არამედ, გაცილებით მეტით, გუნდნახევარი შემადგენლობით — 14 წარმომადგენლით ესასპარეზათ ტურნირში. ამასთან, ჩვენს დელეგაციას ახლდა მსაჯი — ჯუმბერ დავლიანიძე, მწვრთნელები — გია გალდავა, დავით ხურცია და ვანო ნიკოლაძე, ტურნირის საპატიო სტუმარი იყო პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან დავით ციმაკურიძე, დელეგაციას კი თამაზ გეგეშიძე ხელმძღვანელობდა.

საქართველოს დელეგაცია ყაზბეგიდან გადავიდა ვლადიკავკაზში. მაგრამ ამ რაიონში ჩასულებს უკვე სასიამოვნო სიურპრიზი ელოდათ. გამგებელმა გოგი ქირიკაშვილმა, პოლიციის უფროსმა ოთარ სუჯაშვილმა, ავტოინსპექციის უფროსმა ელგუჯა ალიბეგაშვილმა ყველაფერი გააკეთეს, როგორც ჩასულთა პირველმა მასპინძლებმა და შემდეგ სტუმრები ლამის საზეიმოდ გადაულოცეს ოსთა მხარეს.

„ეს იყო დაუვიწყარი შეხვედრა, მაგრამ ძმობა-სიყვარულის „ფეიერვერკი" წინ გველოდა — ოსეთის მიწაზე" — თქვა დელეგაციის ხელმძღვანელმა თამაზ გეგეშიძემ. დიდი და პატარა, ოფიციალურ მასპინძლებზე აღარაფერს ვამბობთ, აღტაცებით ხვდებოდნენ საქართველოდან ჩასულებს. ცხადია, განსაკუთრებული ყურადღება და საყოველთაო სითბო იგრძნობოდა ტურნირის დღეებში. ჩვენი დელეგაციისთვის ნამდვილად დიდი პატივი იყო ის, რომ ახალშექმნილ სპორტული დიდების ხეივანში სოსლან ანდიევის ორმეტრიანი ბრინჯაოს ფიგურის გახსნის ცერემონიალზე რესპუბლიკის პრეზიდენტის ალექსანდრე ძასოხოვის შემდეგ, სიტყვა მისცეს ჩვენს სახელოვან ვეტერან ფალავანს დავით ციმაკურიძეს, რომლის მგზნებარე სიტყვებმა ყველა მოხიბლა.

ახლა თვით ტურნირის შესახებ. ასპარეზობა შთამბეჭდავად წარმომადგენლობითი იყო — 250 სპორტსმენი ჩაება ბრძოლებში. ქართველთაგან კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა სოხუმელი გიორგი ხარებავა (58 კგ), მორე პრიზიორები გახდნენ თბილისელები ამირან ელბაქიძე (58) და შალვა მუზიაშვილი (63), ბრინჯაოს მედლები კი წილად ხვდათ ასევე თბილისელებს გელა სალირაშვილს (69) და მიხეილ ტურაშვილს (97). ტურნირში გამარჯვებულებს საჩუქრად ავტომანქანა, პრიზიორებს კი ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

დავძენთ, რომ ანდიევის ტურნირზე ჩვენებიდან, ძირითადად ახალგაზრდები გამოდიოდნენ, ვინაიდან ნაკრები გუნდის რამდენიმე წევრი ამ ასპარეზობის პარალელურად გამართულ საბერძნეთის საერთაშორისო ტურნირში გამოდიოდა. ორივე ტურნირს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან წინ უსწრებდა მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც ერთ თვეში ბულგარეთში გაიმართება.

### საბერძნეთიდან ორი ოქროს მედლით

**ეს საერთაშორისო ტურნირი ქ. სალონიკში გაიმართა და მასში საქართველოდან ჩვენი ძირითადი ნაკრების სამი წევრი გამოდიოდა. მათგან ორმა თბილისელმა — დავით ლეჟავამ (69) და დავით ოთიაშვილმა (79) ოქროს მედლები მოიპოვეს.**

**საქართველოს რჩეული ფალავნები ინტენსიურად ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატისთვის.**

თ. თომაშვილი

## ქართველ ჭაბუკთა ზეობა ერევანში

ასეთი სოლიდური წარმომადგენლობით თავისი ქვეყნის გარეთ ჯერ ძიუდოისტთა არც ერთ თაობას არ უასპარეზია. ჭაბუკთა V საერთაშორისო ტურნირზე საქართველოდან რამდენიმე გუნდი ჩავიდა საასპარეზოდ ერევანში. სულ კი აქ თავი მოიყარა 600-მდე მონაწილემ.

ცალკე გუნდით წარსდგა ტატამზე თბილისის 95-ე საშუალო სკოლა. 1985-87 წლიანებში ამ გუნდიდან პირველობა მოიპოვა გურამ გოგიძემ (73 კგ), მანვე 81 კგ წონაშიც იასპარეზა და მეორე ადგილი ხვდა. მესამე იყო არმენ მურადიანი (81), იგი 90 კგ-შიც სამე ადგილზე გავიდა. 1988-90 წლიანებში კი ასევე მესამე პრიზიორები გახდნენ ჯაბა დიაკონიძე (90), სერგო გევორქიანი (პლუს 60), ლაშა ნახუცრიშვილი (55 და 60 კგ).

***მარტყოფელთა გუნდიდან*** 1985-87 წლიანებში პირველი იყო გიორგი ტაბლიაშვილი (81), მასვე მეორე ადგილი ხვდა 73 კგ-ში, ზურაბ ორბელაშვილი უძლიერესი იყო 90 კგ-ში, მესამე — პლუს 90 კგ-ში. მეორე პრიზიორები გახდნენ მინდია სოლოღაშვილი (90) და ბესო ივანიშვილი (პლუს 90), მათე მათიაშვილი (55) და მესამე — 60 კგ-ში. 1988-90 წლიანთა შორის მეორე პრიზიორები გახდნენ: არჩილ შინჯიკაშვილი (34), და კახა შპეტიშვილი (46). გუნდს ახლდა მწვრთნელი ზ. კოროხაშვილი.

***გორელთაგან*** ყველა მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა. 1988-90 წლიანებში — რობერტ მშვიდობაძე (30), ჯაბა ტატიშვილი (42), მირიან ხოსრუაშვილი (50); 1985-87 წლიანებში — სოსო ფალელაშვილი (55) და ნუგზარ ბადოშვილი (81), მწვრთნელი — ქართლოს პავლიაშვილი.

***„შევარდენის" გუნდიდან*** გამარჯვებულები არიან (1988 წლიანებში): იაგო მესტვირიშვილი (50), ბეთქილა შუკვანი (46), ვახტანგ პარკაული (55 და 60); მეორე პრიზიორები: შოთა პართენიშვილი (38), ბეთქილ შუკვანი (50), ილია იმერლიშვილი (42) — ყველა „შევარდენის" ოლიმპიური რეზერვების ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის აღსაზრდელები არიან. ***„მართვედან"*** — ლექსო შარიფაშვილი მესამე იყო 66 და 73 კგ-ში. გუნდის მწვრთნელი — სპარტაკ გიორგაძე.

ცალკე გუნდად გამოდიოდა აგრეთვე „მართვე". 1987 წლიანებში აქ მეორე პრიზიორია მიხეილ ყიფშიძე (66), იგივე მესამე იყო 73 კგ-ში; 1988-90 წლიანები: I ადგილი — ირაკლი ქობლიანიძე — (38), II — ლევან ქოჩიევი (50), III — შალვა არდოტელი (60). მწვრთნელები — აკაკი ჩიმჩიური, სოსო რობაქიძე.

რობერტ ყარსელი (ერევანი, „ლელოს" სპეც. კორ)



გამარჯვებულები და პრიზიორები საქართველოდან

ჭიდაობა ჩვენი. ქართული

# „შავნაბადობა" თელეთში

„შავნაბადობის" რელიგიურ დღესასწაულთან დაკავშირებით, თელეთში ტრადიციულად იქცა ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, რომელშიაც ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. ტურნირი ამჯერადაც ხალხმრავალი გამოდგა. მაყურებელთა შორის იყვნენ სტუმრები თბილისიდან, ასპარეზობის გასაშუქებლად თავი მოიყარეს მასმედიის წარმომადგენლებმა. პრიზები დააწესეს თავად რაიონის გამგებელმა, ფირმებმა „ლიკამ" (თ. გურულიშვილი, მ. მერაბიშვილი), „მოდინახემ" (შ. კიკოლაშვილი), „ინდმეწარმემ" (ნ. ხარაძე), „ზაზამ" (ზ. ჩაჩანიძე), თელეთის მეურნეობამ (თ. ხარაძე). ღონისძიების მომზადება-ჩატარებაში დიდი წვლილი შეიტანა სპორტსკოლის დირექტორმა გივი გურულიშვილმა. გადაწყდა, რომ ქართულ ჭიდაობაში ასეთი მასშტაბის ტურნირი გაიმართება წელიწადში ორჯერ — საგაზაფხულო (მაისი) „თელეთობასთან" და საშემოდგომო (ოქტომბერი) „შავნაბადობასთან" დაკავშირებით.



გამარჯვებულები და პრიზიორები

***კვარცხლბეკი:*** ***32 კგ:*** 1. ჯიმი იმერლიშვილი (ნორიო), 2. არკადი ავალიანი (სოფ. ლემშვენიერა), 3. თორნიკე გურულიშვილი (თელეთი); ***36 კგ:*** 1. ლევან იმერლიშვილი (ნორიო), 2. მარადი მარგველანი, 3. გიორგი პირველი (ორივე — ლემშვენიერა); ***40 კგ:*** 1. თამაზ ხარძიანი (გარდაბანი), 2. ვაჟა ლალიაშვილი (თელეთი), 3. გიორგი ყულბერაშვილი (თეთრი წყარო); ***45 კგ:*** 1. სოსო ნიჟარაძე (ლემშვენიერა), 2. პეტრე წიქარიძე (ვაშლოვანი), 3. გიორგი ბორაშვილი (თელეთი); ***50 კგ:*** 1. ნოდარ ჯაჯვანი (ლემშვენიერა), 2. კახა ელიზბარაშვილი (თელეთი), 3. თემურ იმერლიშვილი (ნორიო); ***55 კგ:*** 1. ამბაკო ავალიანი (ლემშვენიერა), 2. ნიკა ახობაძე (თბ), 3. შავლეგო ელიზბარაშვილი (თელეთი); ***60 კგ:*** 1. ბექა იმერლიშვილი (ნორიო), 2. ვასილ ნიჟარაძე (ლემშვენიერა), 3. ჯაბა აბრამიშვილი (ნორიო); ***65 კგ:*** 1. ჯემალ გელაშვილი (რუსთავი), 2. გონელი ავალიანი (ლემშვენიერა), 3. გიორგი ბაჯიაშვილი (მუხათი); ***70 კგ:*** 1. ზურაბ კაციაშვილი (თბილისი), 2. ანტონ ძიძიკაშვილი (ნორიო), 3. ლაშა გავაშელი (თელეთი); ***75 კგ:*** 1. დავით პეტრიაშვილი (რუსთავი), 2. კახა ბადრიაშვილი (თბ), 3. ვაჟა ტაკაშვილი (რუსთავი); ***80 კგ:*** 1. შოთა თურმანიძე (თელეთი), 2. იაგო ჯავახიშვილი (ნორიო), 3. დავით გუგულიანი (ლემშვენიერა).

რობერტ ყარსელი

# ცეკვავს დიდ-პატარა

სპორტული ცეკვები წარმატებით დამკვიდრდა ჩვენში. ხშირად ეწყობა კონკურსები. ერთი ასეთი კონკურსი ამ დღეებში ჩატარდა ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის 23-ე სკოლაში სტუდია „გრაციის" თაოსნობით. მსაჯთა ჟიურს ხელმძღვანელობდა სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმერ ბლიაძე. „გრაციის" (ხელმძღვანელი ზაზა ენუქიძე) გარდა, მონაწილეობდნენ „აისის" (ზაურ მახარაშვილი), „ვარკეთილის" (ზურაბ მეტრეველი), შოუ-ანსამბლ „კარმენსიტას" (ნატალია კლიშინა) მოცეკვავეები. აღსანიშნავია, რომ წლეულს გაზაფხულზე საგარეჯოში გაიხსნა კლუბი „გრაცია", რომლის 5 წყვილი მონაწილეობდა კონკურსში, რაც მასწავლებლის ეკა ირემაშვილის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

6-11 წლიანებში (2 ცეკვა) პირველობა მოიპოვა არჩილ და ანი გულმაგრაშვილების წყვილმა („აისი"), 9-13 წლიანებში (4 ცეკვა) – გიორგი ობგაიძემ და მაია ჩხიკვაძემ („აისი"), დიდებში (2 ცეკვა) – ასლან სალიბეგაშვილ – ანასტასია მიშერიაკოვამ („გრაცია"). დიდებში (7 ცეკვა) – ნიკა წიკლაურმა და ანა რომელაშვილმა („გრაცია"), 9 ცეკვაში – ზაზა გიორგობიანმა და ალინა გროიანმა („ვარკეთილი"). უცხოეთში ძალზე პოპულარულია სინიორთა კონკურსი, სადაც წყვილის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 70 წელს. ახლა ასეთი კონკურსი პირველად ჩატარდა ჩვენში „გრაციის" პრეზიდენტის ზაზა ენუქიძის თაოსნობით. მანვე თავის სტუდიაში პირველმა გამოაცხადა უფროსი ასაკის მსურველთა მიღება. ამჯერად კონკურსში მხოლოდ 5 წყვილი მონაწილეობდა: სპარტაკ ცერცვაძე – ნატალია ჩერკასოვა; ჯემალ ნემსიწვერიძე – ელისო ბაკურაძე; ლევან ურვანიშვილი – ცირა ცაგარელი; ალექსანდრე ჩიმანიანი – თამარ შოვნაძე; ვლადიმერ ხარშილოვი – მარია ჩილინგარიდი. გაიმარჯვა ცერცვაძე – ჩერკასოვას წყვილმა. მაყურებლის სიმპათია დაიმსახურა. ყველაზე ასაკოვანმა – ურვანიშვილ – ცაგარელის დუეტმა.


ნიკა წიკლაური და ანა რომელაშვილი

კონკურსზე შედგა გაზეთ „გრაციის" პრეზენტაცია, რომელიც ზაზა ენუქიძის თაოსნობით გამოიცემა და ყოველთვიურად იხილავს დაინტერესებული მკითხველი.

ვიოლეტა აფხაზავა



საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# XIII ტური ანონსი

# ცამეტის მეცამეტე

ხვალ, 27 ოქტომბერს, მეცამეტე ეროვნულის მეცამეტე ტური სრულად გაიმართება. ტურში გამოსარჩევი რამდენიმე მატჩია. უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც, რაც ჩემპიონატზე უდავოდ დადებითად მოქმედებს, ყველა ტურში მრავლადაა შეხვედრები, რომელთაც განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. გამონაკლისი, არც მეცამეტე ტურია. ორი დღის წინ ძლიერი წვიმის გამო, გადატანილი XI ტურის მატჩი გაიმართა. ბათუმში „დინამომ" თბილისის „ლოკომოტივი" მიიღო. უშედავათო ორთაბრძოლა გამოვლილი, ისევ წვიმაში ნარბენი გუნდები ხვალ კვლავ გავლენ მინდორზე. რკინიგზელები ისევ დასავლეთისკენ აიღებენ გეზს და ზესტაფონში მეტალურგებს დაუპირისპირდებიან. ზღვისპირელი დინამოელები შინ მდევარ ვიტელებს უმასპინძლებენ და, როგორც ჩანს, ამჯერადაც მძიმე მატჩის გადატანა მოუწევთ. „გორდა", რომელიც უსაშველოდ დაბლა დაეშვა სატურნირო ცხრილში, არასტაბილურად მოთამაშე თბილისის „დინამოს" მიიღებს. „დინამოს" პირველ წრეში ეროვნულზე გაუჭირდა რუსთაველებთან პაექრობა და მხოლოდ ფრეს მიაღწია. ამჯერადაც უკომპრომისო შეხვედრის მოწმენი შეიძლება გავხდეთ. ნაკლები დაძაბულობა არც ბოლნისშია მოსალოდნელი, ბოლო ტურში, ხომ ერთ-ერთ თბილისურ გუნდთან, კერძოდ, „დინამოსთან" „სიონმა" ტოლსწორად იპაექრა, ახლა კი „მერანს" დახვდება და ალბათ, არც ავჭალელებს მისცემს ლაღად გასეირნების საშუალებას. სასიცოცხლო მნიშვნელობის მატჩია ლანჩხუთში, „გურია" „სამგურალს" შეერკინება. ორი თანაბარქულიანი აუტსაიდერების პაექრობა ტურის ურთულესი მატჩია. ცენტრალური შეხვედრა კი ფოთში ჩატარდება. თორმეტი ტური ისე გაილია, „ტორპედოს" დამარცხება ვერავინ შეძლო. შეძლებს კი ამას „კოლხეთი"? ქუთაისელები წაუგებელი სერიის გაგრძელებას ნაღდად შეეცდებიან, კოლხებს კი ქულები ჰაერივით სჭირდებათ, რათა პირველ ექვსეულს არ ჩამორჩნენ და საუკეთესოთა შორის დამკვიდრებისთვის ბრძოლა კვლავ გააგრძელონ. უეჭველია, ტურში ვილაც მოიგებს, ვილაცისთვის ცამეტი ისევ თარს ციფრად დარჩება. თუ წინა ტურის უცნაურობასაც, ანუ ფრეთა უმაგალითო სიმრავლესაც გავითვალისწინებთ, საფეხბურთო „ყაიმი" არც ამ ტურში იქნება მოულოდნელი შედეგი.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ტორპედო** | 12 | 10 | 2 | 0 | 31-6 | 32 |
| **ლოკომოტ.** | 12 | 9 | 1 | 2 | 25-8 | 28 |
| **მერანი91** | 12 | 7 | 1 | 4 | 22-19 | 22 |
| **ვიტ ჯორჯია** | 12 | 5 | 4 | 3 | 19-13 | 19 |
| **დინამო (ბთ)** | 12 | 5 | 4 | 3 | 15-10 | 19 |
| **დინამო (თბ)** | 12 | 5 | 3 | 4 | 23-11 | 18 |
| **კოლხ.1913** | 12 | 5 | 3 | 4 | 20-19 | 18 |
| **სიონი** | 12 | 3 | 3 | 6 | 7-18 | 12 |
| **სამგურალი** | 12 | 2 | 2 | 8 | 8-23 | 8 |
| **გურია** | 12 | 1 | 5 | 6 | 9-20 | 8 |
| **მეტალურგი** | 12 | 1 | 4 | 7 | 6-24 | 7 |
| **გორდა** | 12 | 1 | 4 | 7 | 10-24 | 7 |

**ბომბარდირები**

აშვეთია (ტორპედო) — 8
ბობოხიძე (დინამო თბ) — 8
დათვაძე (ლოკომოტ) — 7
გაგუა (მერანი) — 6
წივწივაძე (კოლხეთი) — 6
გოგობერიშვილი (ვიტ ჯორჯია) — 6
პოროშინი (ტორპედო) — 6.

# ტექნიკური შედეგები

## უმაღლესი ლიგა. XII ტურის მატჩი

**სამგურალი – კოლხეთი1913 0-0**

***სამგურალი:*** ბოდოკია, ფრანგიშვილი, ბერაძე, ბანძელაძე (დ. ჰელიძე 70), დარსაძე, კიკვიძე (კოპალიანი 46), ღონღაძე, ფხაკაძე (ცომაია 57), კ. ჯანაშია, ვაჩიბერაძე, ხუნდაძე.

***კოლხეთი:*** მ. გვასალია, გოროზია, ქობულაძე, კრასოვსკი, წივწივაძე, ე. გვასალია (ბაჩილავა 86), კვირკველია (ტორჩინავა 72), ქუტიძე, პაპავა, შ. მუმლაძე, კ. კვეტენაძე (აკობია 57).

***გააფრთხილეს:*** ბანძელაძე, ღონღაძე, წივწივაძე, ბერაძე, გოროზია, პაპავა, ქუტიძე.

***მსაჯი:*** ა. კრიჭაშვილი (თბილისი).

## XI ტურის მატჩი

**დინამო (ბთ) – ლოკომოტივი 1-3**

***დინამო:*** ჭანტურია, გ. ჩხაიძე (ზვ. გვაზავა 36), მინდაძე, არჩვაძე, კობიძე, ქაცარავა, ხუჯაძე, რომანაძე (დარჩიძე 36), მაჭუტაძე, ტუღუში, აფხაზავა.

***ლოკომოტივი:*** ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, ზ. ლაცაბიძე, გელა ქორიძე, ჰიჭვეიშვილი, გოგიჩაიშვილი (სირბილაძე 86), ანჩაბაძე (დავითნიძე 82), ონიანი, კაიდარაშვილი, დათვაძე (ბაქრაძე 61).

***გააფრთხილეს:*** ჩხაიძე, კაიდარაშვილი.

***გოლები:*** 0-1 კაიდარაშვილი (10), 0-2 სალუქვაძე (14), 0-3 კაიდარაშვილი (67), 1-3 დარჩიძე (71).

29-ე წუთზე ბალაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი.

***მსაჯი:*** ა. კრიჭაშვილი (თბილისი).

# მსაჯები. ინსპექტორები

## უმაღლესი ლიგა. XIII ტური

**მეტალურგი — ლოკომოტივი:** მთავარი მსაჯი ა. ორდინიძე, ასისტენტები ცირდავა, ხუციშვილი, მეოთხე მსაჯი კვარაცხელია, ინსპექტორი ს. კუტივაძე.

**დინამო (ბთ) — ვიტ ჯორჯია:** მთ. მსაჯი ა. შალამბერიძე, ასისტენტები გაბრიაძე, ჩიგოგიძე, მეოთხე მსაჯი კიკაჩეიშვილი, ინსპექტორი ა. დურსუნიში.

**გორდა — დინამო (თბ):** მთავარი მსაჯი მ. მალაღურაძე, ასისტენტები ბრეგვაძე, ლ. სილაგავა, მეოთხე მსაჯი მეშკოვი, ინსპექტორი ბ. ქარქაშაძე.

**სიონი — მერანი:** მთავარი მსაჯი პ. დოგრაშვილი, ასისტენტები დოლიძე, მენთეშაშვილი, მეოთხე მსაჯი კრიჭაშვილი, ინსპექტორი გ. ძამუკაშვილი.

**გურია — სამგურალი:** მთავარი მსაჯი ჯ. ბუიშვილი, ასისტენტები მიქელაძე, სამხარაძე, მეოთხე მსაჯი ანიაშვილი, ინსპექტორი ე. სილაგავა.

**კოლხეთი1913 — ტორპედო:** მთავარი მსაჯი ლ. ფანიაშვილი, ასისტენტები ელიკაშვილი, შალამბერიძე, მეოთხე მსაჯი კ. მესხი, ინსპექტორი ა. მილჩენკო.

# I ლიგა. XIII ტური

პირველ ლიგაში ასევე მეცამეტე ტური დღეს დაიწყება და კვირას დამთავრდება. ტური თბილისური მატჩით [illegible]იხსნება. [illegible]ბილისი[illegible] „დინამ[illegible]" [illegible] მიიღებს „[illegible]ინა[illegible]" ლიგის ტიპიური [illegible] [illegible] გუნდი [illegible] ხასიათის მიუხედავად, მატჩებს არათანაბრად ატარებს, გამარჯვებებს ხშირად მარცხი ენაცვლება, თუმცა შინაურ სარბიელზე ეროვნულ სტადიონზე, შედარებით სტაბილურად ასპარეზობს, რაც ერთობ მომძლავრებულ უნივერსიტეტელებს დამშვიდების საბაბს ნამდვილად არ აძლევს. ლიგის ორი ლიდერი შინ ითამაშებს. „ქობულეთი" და „დილა" შესაბამისად „თორს" და „ცხინვალს" უმასპინძლებენ. ორივეს ქულათა მარაგის შევსების ჩინებული შანსი აქვს, თუმცა, თუ ბორჯომელთა გუნდი აშკარად სუსტია და აჭარლებს შეიძლება სათანადო წინააღმდეგობა ვერც გაუწიოს, ქართლელების შერკინება უფრო დაძაბული და საინტერესო უნდა იყოს. ლიგის ერთპიროვნული ლიდერი კახური „მილანი" სამტრედიაში იქაური „ლოკომოტივის" შეჩერებას შეეცდება, რაც აღმოსავლელებს გუნდის პოტენციალიდან გამომდინარე შეუძლიათ კიდეც. ცხრილის შუაში მყოფი დედაქალაქის „მესამე" „ლოკომოტივი" ხობში ჩავა. „კოლხეთს" საუკეთესო ექვსეულში მოხვედრის შანსი ჯერ არ დაუკარგავს, არც რკინიგზელები იქნებიან მეხუთე ადგილზე დამკვიდრების წინააღმდეგნი. კვირის კიდევ ერთი მატჩი ავჭალაში ჩატარდება. „მერანი2" „ლაზიკას" დაუხვდება. თბილისელებმა წინა ტურში ისევ წააგეს და ცხრილის ბოლოში იმყოფებიან, „ლაზიკამ" კი როგორც იქნა, მოიგო, თანაც ჩემპიონატის დასაწყისიდან დაწინაურებული გორის „დილა" დაამარცხა, რითაც ლიდერობაც დაკარგვინა. ფსიქოლოგიური განწყობით თუ ვიმსჯელებთ, უპირატესობა ზუგდიდელთა მხარესაა. ასე რომ, ტური საინტერესოდ უნდა წარიმართოს, ამის თქმის საბაბს სატურნირო ვითარება გვაძლევს.

***26 ოქტომბერი***

დინამო2 (თბ) — თსუ: მთავარი მსაჯი ი. კახიანი.

***28 ოქტომბერი***

ქობულეთი — თორი: მთავარი მსაჯი კ. მესხი.

ლოკომოტივი (სამტრ) — მილანი (წ): მთავარი მსაჯი ს. კვარაცხელია

კოლხეთი (ხ) — ლოკომოტივი3: მთავარი მსაჯი ზ. ანიაშვილი

მერანი2 — ლაზიკა: მთავარი მსაჯი ა. შილაკაძე

დილა — ცხინვალი: მთავარი მსაჯი მ. მაისურაძე.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მილანი** | 12 | 8 | 3 | 1 | 28-8 | 27 |
| **დილა** | 12 | 8 | 2 | 2 | 24-5 | 26 |
| **ქობულეთი** | 12 | 8 | 2 | 2 | 14-7 | 26 |
| **თსუ** | 12 | 7 | 2 | 3 | 18-9 | 23 |
| **ლოკომოტ.3** | 12 | 5 | 4 | 3 | 20-15 | 19 |
| **დინ.2 (თბ)** | 12 | 5 | 1 | 6 | 11-13 | 16 |
| **ლაზიკა** | 12 | 4 | 3 | 5 | 14-21 | 15 |
| **ცხინვალი** | 11 | 4 | 2 | 5 | 18-16 | 14 |
| **კოლხ. (ხ)** | 12 | 2 | 6 | 4 | 10-14 | 12 |
| **ლოკ.(სამტ)** | 12 | 2 | 3 | 7 | 10-21 | 9 |
| **მერანი2** | 12 | 2 | 1 | 9 | 6-23 | 7 |
| **თორი** | 12 | 1 | 1 | 9 | 7-28 | 4 |

# გელა გომელაურმა შეგირდებს მოუხმო

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის სამზადისს შეუდგა საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრები. გელა გომელაურმა შეგირდებს „შევარდენის" სტადიონზე მოუხმო. გუნდი მზადების ბოლო ეტაპს გაივლის და ორი კვირის თავზე, გეზს ნისლიანი ალბიონისკენ აიღებს; ლიდსთან მდებარე პატარა ქალაქში იორკში ქართველი ჭაბუკები ინგლისელ და უნგრელ თანატოლებს ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის შეებრძოლებიან. მატჩები 7-9 ნოემბერს გაიმართება. ჩვენი პირველი მეტოქეები ინგლისელები იქნებიან 7 ნოემბერს, 9 ნოემბერს უნგრელებს ვეთამაშებით, სასტუმრო „ოდაში" დაბინავებული საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრები 29-31 ოქტომბერს ორ საკონტროლო მატჩს გამართავს. 6 ნოემბერს კი ინგლისს გაემგზავრება.

# სფფ-ს აღმასკომის სხდომაზე ერიხ ეპლე გვეწვევა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის რიგით XII სხდომა, სავარაუდოდ 13 ნოემბერს გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებენ უეფას აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიუროს მენეჯერი ერიხ ეპლე და აუდიტორული ფირმის „ერნსტ ენდ იანგის" წარმომადგენელი ლენკა ტუჩეკი. უეფას მაღალჩინოსანი სტუმრები აღმასკომის წევრებს რამდენიმე თვის წინათ, სფფ-ს აუდიტორული შემოწმების შედეგებს გააცნობენ. დღის წესრიგის მეორე საკითხი საქართველოს თასისთვის დავით ყიფიანის სახელის მინიჭებას ეხება. სხდომას სასტ[illegible]რო „სიმპათია" უმასპინძლებს.

# ჩვენი დევიზია – „ჯანსაღი ცხოვრების წესი"

## პრეზიდენტის თასისთვის ფიცხელი ორთაბრძოლებია

ბავშვთა და მოზარდთა, 12-15 წლის ყმაწვილების ასეთი მასშტაბის შეჯიბრება თბილისში პირველად იმართება. ტურნირის ორგანიზატორები არიან — სახელმწიფო კანცელარია, გაეროს ბავშვთა ფონდი, იოსებ ნონეშვილის სახელობის საერთაშორისო ბავშვთა ფონდი და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. ფინალური ეტაპის ჯგუფურ მატჩებს გლდანის სპორტინტერნატის დარბაზი, ხოლო დასკვნით შეხვედრებს სპორტის სასახლე მასპინძლობს.



ფინალს წინ უძღოდა შეჯიბრებები სკოლებში კლასებს შორის, შემდეგ რეგიონული თამაშები, რომლებიც გაზაფხულ-ზაფხულის განმავლობაში გაიმართა, მონაწილეობა მიიღო საქართველოს 2028 სკოლის 46 627 მოსწავლემ.

ხუთწლიანი გარდამავალი ტურნირი ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების დევიზით ტარდება და მიზნად ისახავს მავნე ჩვევებისადმი (თამბაქოს წევა, ალკოჰოლისა და ნარკოტიკულ ნივთიერებათა გამოყენება) მიდრეკილების აღმოფხვრას, ფინალურ ეტაპზე საქართველოს 12 რეგიონის ტურნირის პირველ ტურში გამარჯვებული სკოლების 120 მოსწავლე იასპარეზებს.

თორმეტი გუნდი კენჭისყრის შედეგად ოთხ ჯგუფში განაწილდა:

**I ჯგუფი**

თბილისის დიდუბე — ჩუღურეთის რაიონის ანთიმოზ ივერიელის სახელობის 116-ე საშუალო სკოლა
ამბროლაურის პირველი საშუალო სკოლა
ქარელის რაიონის დაბა აგარის საშუალო სკოლა.

**I ჯგუფი**

ბათუმის სპორტული სკოლა-ლიცეუმი
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჟიული შარტავას სახელობის მე-4 საშუალო სკოლა
ჩხოროწყუს მე-2 საშუალო სკოლა.

**III ჯგუფი**

ლანჩხუთის პირველი საშუალო სკოლა-გიმნაზია
მცხეთის რაიონის საგურამოს საშუალო სკოლა
რუსთავის 25-ე საშუალო სკოლა.

**IV ჯგუფი**

თელავის პირველი საშუალო სკოლა
ვანის [illegible]ია ჭავჭავაძის სახელობის პირველი საშუალო სკოლა
ბორჯომის მეორე საშუალო სკოლა.

პირველ მატჩებში ასეთი შედეგები დაფიქსირდა:

***24 ოქტომბერი***

ამბროლაური — აგარა 5-0
აფხაზეთი — ჩხოროწყუ 1-5
მცხეთა — რუსთავი 3-4
ვანი — ბორჯომი 3-1

საუკეთესო ოთხეულის მატჩები: შეხვედრები მესამე და პირველი ადგილისთვის თბილისობის ეგიდით მიმდინარე საზეიმო ღონისძიებათა ფარგლებში 28 ოქტომბერს სპორტის სასახლეში ჩატარდება (დასაწყისი 14.30 — 17 სთ). გამარჯვე[illegible]ლ გუნდს მთავარ პრიზს, პრეზიდენტის გარდამავალ თასს გადასცემს თავად საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. გამოვლინდებიან და სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდებიან ტურნირის საუკეთესო მეკარე, ბომბარდირი, საუკეთესო ფეხბურთელი. ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი მიიღებს დავით ყიფიანის სახელობის პრიზს, გაეროს ბავშვთა ფონდმა იუნისეფმა დააწესა სპეციალური პრიზი ყველაზე ნორჩი ფეხბურთელისთვის.

შეჯიბრების ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობენ — საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლების, შინაგან საქმეთა სამინისტროები და თბილისის მერია.

# რეგიონული ლიგა

## აღმოსავლეთი XI ტური

მაუდი — ცხუმი 1-2
ოლიმპიკი — თბილისი 3-3
ვიტ ჯორჯია 2 — ვარძია 5-0
ზოოვეტი — გორდა2 2-0
ივერია — ალაზანი 1-1
დინამო3 — აკადემია2 2-2
მცხეთა — მესხეთი 4-0
ლიახვი — ჯავახი 4-1
მერანი3 — ჰაბუკიანი — 0-1
მრეტები — კრწანისი 1-1

***V ტურის მატჩი:***

მცხეთა — მერანი3 4-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მცხეთა** | 11 | 9 | 1 | 1 | 27-5 | 28 |
| **ალაზანი** | 10 | 7 | 2 | 1 | 26-11 | 23 |
| **ზოოვეტი** | 9 | 7 | 0 | 2 | 19-7 | 21 |
| **ივერია** | 10 | 6 | 2 | 2 | 26-14 | 20 |
| **ვიტ ჯორჯია2** | 10 | 5 | 4 | 1 | 28-7 | 19 |
| **აკადემია** | 10 | 5 | 3 | 2 | 18-10 | 18 |
| **მაუდი** | 9 | 5 | 2 | 2 | 11-6 | 17 |
| **ვარძია** | 10 | 5 | 2 | 3 | 11-10 | 17 |
| **ლიახვი** | 10 | 5 | 1 | 4 | 16-17 | 16 |
| **ოლიმპიკი** | 9 | 3 | 3 | 3 | 15-12 | 12 |
| **ცხუმი** | 10 | 3 | 3 | 4 | 14-11 | 12 |
| **ჰაბუკიანი** | 9 | 2 | 6 | 1 | 9-6 | 12 |
| **გორდა2** | 10 | 3 | 2 | 5 | 14-12 | 11 |
| **თბილისი** | 10 | 3 | 2 | 5 | 18-21 | 11 |
| **მესხეთი** | 10 | 3 | 1 | 6 | 8-19 | 10 |
| **დინამო3** | 9 | 2 | 3 | 4 | 11-13 | 9 |
| **კრწანისი** | 10 | 2 | 2 | 6 | 12-24 | 8 |
| **მერანი3** | 11 | 2 | 1 | 8 | 8-28 | 7 |
| **მრეტები** | 9 | 0 | 2 | 7 | 10-22 | 2 |
| **ჯავახი** | 10 | 0 | 0 | 10 | 8-54 | 0 |



## დასავლეთი XII ტური

საპოვნელა — ლუკა 9-1
სალხინო — მაღაროელი 2-0
ჩიხურა — გზები 0-4
საირმე — ეგრისი 1-0
სქური — ოკრიბა (გადაიდო)
კოლხეთი2 — დინამო (ზ) 0-0
ინტერი — მეტალურგი2 2-1
დინამო2 — გურია2 (თამაში შეწყდა. საკითხს განიხილავს რეგიონული სადისციპლინო კომიტეტი)
მერცხალი — სულორი 6-2
დინამო (სოხ.) — სამეგრელო 1-1

***XI ტურის მატჩი:***

მეტალურგი — კოლხეთი2 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მერცხალი** | 12 | 11 | 1 | 0 | 31-7 | 34 |
| **სულორი** | 12 | 10 | 0 | 2 | 34-15 | 30 |
| **დინამო (ზ)** | 12 | 9 | 2 | 1 | 23-7 | 29 |
| **გურია2** | 11 | 8 | 1 | 2 | 32-9 | 25 |
| **სალხინო** | 12 | 8 | 0 | 4 | 20-16 | 24 |
| **საპოვნელა** | 12 | 7 | 3 | 2 | 38-14 | 24 |
| **კოლხეთი2** | 12 | 5 | 5 | 2 | 20-12 | 20 |
| **ინტერი** | 12 | 6 | 1 | 5 | 18-13 | 19 |
| **მეტალურგი** | 12 | 5 | 3 | 4 | 16-15 | 18 |
| **საირმე** | 12 | 5 | 1 | 6 | 11-10 | 16 |
| **ეგრისი** | 12 | 5 | 1 | 6 | 20-22 | 16 |
| **სქური** | 11 | 5 | 1 | 5 | 17-23 | 16 |
| **მაღაროელი** | 12 | 5 | 1 | 6 | 23-21 | 16 |
| **გზები** | 12 | 5 | 0 | 7 | 15-22 | 15 |
| **სამეგრელო** | 12 | 3 | 2 | 7 | 16-26 | 11 |
| **დინამო2** | 11 | 2 | 2 | 7 | 7-16 | 8 |
| **ჩიხურა** | 12 | 2 | 1 | 9 | 9-30 | 7 |
| **ლუკა** | 12 | 2 | 0 | 10 | 10-42 | 6 |
| **დინ.(სოხ)** | 12 | 1 | 3 | 8 | 10-25 | 6 |
| **ოკრიბა** | 11 | 0 | 0 | 11 | 3-28 | 0 |

# თუ გამგებელმა მოინდომა

ამ დღეებში სოფ. თელეთი გარდაბნის რაიონის სპორტულ ცენტრად იქცა. ეს იყო სპორტის ჭეშმარიტი დღესასწაული, რომელმაც ერთხელ კიდევ შეგვახსენა, რომ თუ მოინდომებ, ხალხს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, შეიძლება დიდი სიხარული მოუტანო. მონდომების რეალიზება კი მაშინაა შესაძლებელი თუ ენთუზიასტებს გვერდით დაუდგება რაიონის ხელმძღვანელობა. გარდაბნის გამგებლის თანადგომამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მაგალითად, ფეხბურთში რაიონის გამგებლის თასზე გამართულ შეჯიბრებაში სოფლების გუნდებში ადგილობრივი გამგებლებიც მონაწილეობდნენ. ამ ტურნირს საფუძველი ჩაუყარა გოჩა გურიელაშვილის სახელობის რაიონული საფეხბურთო სკოლის "შავნაბადას" დირექტორმა გივი გურულიშვილმა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გარდაბნისა და ტაბახმელის საკრებულოების (ტაბახმელაში ცხოვრობს რაიონის გამგებელი ნუგზარ ფერიაშვილი) გუნდები, რომლებიც ოთხ ზონად ჩატარებულ გათამაშებაში საუკეთესონი აღმოჩნდნენ. საგულისხმოა, რომ ორივე ფინალისტის გუნდი დაკომპლექტებული იყო „შავნაბადას" სკოლის აღსაზრდელებით. რაიონის გამგებლის თასი წილად ხვდა ტაბახმელელებს. თასი გამარჯვებულებს გადასცა რაიონის გამგებლის მოადგილემ დემურ ავალიანმა. მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს ახალი სამგორისა და კუმისის გუნდებმა.

რჩეულ მოთამაშეებს გადაეცათ სპეციალური პრიზები. მეკარეს — ზაქრო მაღალდაძეს, ბომბარდირის — ბიბა ყურაშვილს, ტექნიკური მოთამაშის — მალხაზ პაპაშვილს (სამივე — ტაბახმელა), მცველის — დათო ლევანიშვილს, თავდამსხმელის — გიორგი რაზმაძეს, ნახევარმცველის — ირაკლი მეშველიანს (თელეთი), ყველაზე უმცროსი მონაწილის — ლევან ქობულაძეს (კუმისი), ყველაზე ასაკოვანის — ავთანდილ თეგეტაშვილს (ახალი სამგორი), საუკეთესო გოლის — მამუკა ბადრიაშვილს („შავნაბადა" — თელეთი), ყველაზე ერთგული გულშემატკივრის — ნიკო მოსიკაშვილს (ახალი სამგორი).

ასპარეზობა ტრადიციული გახდება.




# ცნობები ინტერნეტის სამყაროდან

## ხაკან უნსალს „გალათასარაის" დატოვება სურს



თურქეთის „გალათასარაის" მარცხენა ნახევარმცველი ხაკან უნსალი, ალბათ, კიდევ ერთი ფეხბურთელი იქნება, რომელსაც გამოეთხოვება კლუბი ახლო მომავალში. ამ ფეხბურთელმა თავად მიმართა კლუბის ხელმძღვანელობას მოუგვარონ ტრანსფერის საქმე რომელიმე უცხოურ კლუბში გადასასვლელად. „გალათასარაისთან" კონტრაქტი ხაკან უნსალს გაისად ზაფხულში უმთავრდება, ამიტომ კლუბს არაფერი რჩება გარდა იმისა, რომ ხელი შეუწყოს ფეხბურთელს ტრანსფერის განხორციელებაში. კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ ხაკან უნსალი თავისუფალი ხდება და თუ „გალათასარაი" გაჯიუტდება, მეტს დაკარგავს.

„კლუბთან ერთად მე მოვიგე არაერთი ტურნირი, უეფას და სუპერთასის ჩათვლით, ახლა დადგა დრო ბედი უცხოეთში ვცადო" — ამბობს ხაკან უნსალი. ამ ფეხბურთელისადმი უკვე დიდ ინტერესს ავლენენ ინგლისის, ესპანეთის, იტალიის და საფრანგეთის საფეხბურთო კლუბები. ყველაზე მეტი დაინტერესება ჯერჯერობით გამოიჩინა საფრანგეთის „ლანსმა".

## ბერნარ ტაპი ჟურნალისტის ცემაში ამხილეს

**მარსელის „ოლიმპიკის" ბოსი ბერნარ ტაპი მხილებულია საფრანგეთის ერთ-ერთი ტელეკომპანიის ჟურნალისტზე თავდასხმაში. ტაპს არ მოსწონებია ტელეკომპანიის ეთერში ამ ჟურნალისტის ნათქვამი, რომ „ოლიმპიკმა" ნახევარ წელიწადში უფრო მეტი მწვრთნელი შეცვალა, ვიდრე „ნანტმა" მთელი 45 წლის განმავლობაში". ტაპი და ეს ჟურნალისტი ერთმანეთს ქუჩაში შეხვედრიან და ტაპს მუშტები დაუშენია მისთვის არასასურველი ჟურნალისტისთვის, ბოლოს კი წიხლიც უთავაზებია მუცელში. ჟურნალისტმა უმალვე მიაშურა პოლიციას და მოითხოვა თავაშვებული ფუნქციონერის დასჯა. ხულიგანი კი თავის მხრივ ჯერჯერობით წაყენებულ ბრალდებას უარყოფს, აღიარა მხოლოდ ის, რომ თავის „მსხვერპლს ქეჩოში სწვდა და მეტი არაფერი". ახლა მას მსგავსი სხვა ფაქტი და ისიც გაუხსენეს, რომ ადრე ციხეში ჩაწყობილი მატჩებისთვის ჩასვეს და დიდხანს იყო ჩამოშორებული ფეხბურთს.**

## „ვერონა" რუსი ბომბარდირით დაინტერესდა

იტალიურმა კლუბმა „ვერონამ" ამ ბოლო დროს დაინტერესება გამოიჩინა რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის, მოსკოველი ტორპედოელის დმიტრი ვიაზმიკინისადმი. ოფიციალურად ჯერ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ „ტორპედოსთან" კონტრაქტი ამ ფეხბურთელს წლის ბოლოს უმთავრდება და თავისუფალი აგენტი ხდება.




## პეტერსონი ავარიაში მოჰყვა

„კაიზერსლაუტერნის" შვედი ლეგიონერი იორგენ პეტერსენი უვნებელი გადარჩა სერიოზული ავტოკატასტროფის შემდეგ. ფეხბურთელის მანქანა დაეჯახა სხვა მანქანას და შეასკდა სატვირთოს. გზა გადაიკეტა. 20 წლის ერთი ახალგაზრდა დაიღუპა. პოლიცია ალკოჰოლის მიზეზს გამორიცხავს. ავარიის სერიოზულობიდან გამომდინარე, პეტერსონი, როგორც იუწყებიან, უახლოეს მატჩ[illegible] „[illegible]" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

## ანრი მიშელი ტუნისელთა მწვრთნელად დაინიშნა

**ტუნისის გუშინდელი პრესა იუწყება, რომ ამ ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა ფრანგი სპეციალისტი ანრი მიშელი. ამ პოსტზე მან შეცვალა გერმანელი ეკხარდ კრაუცენი. შეგახსენებთ, რომ 1984 წელს ანრი მიშელმა ფრანგებს ოლიმპიური ოქროს მედალი მოუტანა, 1986 წელს კი ფრანგები მესამე ადგილზე გავიდნენ მსოფლიო ჩემპიონატში. ამის შემდეგ მიშელმა კამერუნის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა, 1998 წელს იგივე წარმატება მოუტანა მაროკოელებს. 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი მისთვის ზედიზედ მესამე იქნება ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში.**




## განცი „ფიორენტინაში" გადავიდა

„მილანის" ყოფილი თავდამსხმელი მაურიციო განცი „ფიორენტინაში" გადავიდა. ამ კლუბში იგი შეცვლის ენრიკო კეზს, რომელიც სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს. მიუხედავად იმისა, რომ განაცხადში დამატებითი ფეხბურთელების შეყვანის ვადები ამოიწურა, კლუბებს უფლება ეძლევათ ისარგებლონ იმ ფეხბურთელებით, რომლებიც უგუნდოდ არიან დარჩენილნი, ან სეზონში არ უთამაშიათ, რომელიმე კლუბში. განცმა სწორედ ამით ისარგებლა.

## კალათბურთი ● ევროლიგა

**გაიმართა ევროლიგის გათამაშების III ტურის შეხვედრები:**

პარტიზანი (იუგოს.) – ურალ-გრეიტი (რუს.) 85-80 (დ.დ.)
ბენეტონი – (იტალია) – შარლერუა (ბელგია) 86:78
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) – შლიონსკი (პოლონეთი) 101:79
ეფეს პილსენი (თურქეთი) – ალბა (გერმანია) 78:72
კინდერი (იტალია) – ულქერი (თურქეთი) 68:60
აეკი (საბერძნეთი) – ტაუ (საბერძნეთი) 85:82 (დ.დ.)
კრკა (სლოვენია) – სკიპერი (იტალია) 94:100
ციბონა (ხორვატია) – ოსტენდე (ბელგია) 85:76
ვილერბანი (საფრანგეთი) – სკავოლინი (იტალია) 63:80




## გაჩნდა კიდევ ერთი შუმახერი

**როგორც ვიუწყებოდით, „ფორმულა-1"-ის 2001 წლის ბოლო ასპარეზობის „იაპონიის გრან-პრის" წინ, რალფ შუმახერმა ყველასგან მოულოდნელად ოფიციალურად გააფორმა ქორწინება თავის მეუღლესთან. სიჩქარე, როგორც ჩანს, შვილის დაბადების მოახლოებითაც იყო განპირობებული. რალფმა იცოდა, რომ ვაჟი შეეძინებოდა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. პატარას, რომლისთვისაც ჯერ სახელი არ შეურჩევიათ, როგორც იუწყებიან, რალფის უფროსი ძმა, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, „ფორმულა-1"-ში, ორი შვილის მამა მიხაელ შუმახერი მონათლავს.**

## „სამარამ" ვიზა კი მიიღო, მაგრამ...

რუსეთის საკალათბურთო გუნდმა „სამარამ", პირველი მატჩი ჩრდილოევროპის ლიგის გათამაშებაში ვიზების მოუგვარებლობის გამო გამოტოვა. შემდეგ ეს პრობლემა გადაწყდა, მაგრამ ინგლისის „პერტეს ბულეტსთან" შეხვედრა სამარამ წააგო 87:9 ***(იხ. მე-8 გვ).***

## კორაჩის თასი

***ვაჟები:*** „ხიმკი" (რუსეთი) — ლუკოილ აკადემიკი (ბულგარეთი) 65:55; „ფენერბახჩე" (თურქეთი) — „ევრაზი" (რუსეთი) — 78:77, „ლოკომოტივი" (რუსეთი) — „ვესტ პეტრომი" (რუმინეთი) — 104:47.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა

## პირველი ჯგუფური ეტაპი (V ტური)

### A ჯგუფი

**რეალი – რომა 1-1**

***რეალი:*** სეზარი, მიჩელ სალგადო, რობერტო კარლოსი (სოლარი 46), იერო (ელგერა 46), პავონი, მაკალელე, სელადესი, ზიდანი, რაული, მორიენტესი (მუნიტისი 77), ფიგუ.

***რომა:*** ანტონიოლი, კაფუ, სამუელი, ძაგო (ალდაირი 46), ლიმა, ძებინა, კანდელა, ტომაზი (ასუნსაო 65), ემერსონი, ტოტი (დელვეკიო 88), ბატისტუტა.

***გოლები:*** 0-1 ტოტი (35), 1-1 ფიგუ (75 პენ).

ამ შეხვედრაში შედგა ზინედინ ზიდანის დებიუტი ჩემპიონთა ლიგაში „რეალის" შემადგენლობაში. შეხვედრა მიმდინარეობდა ესპანელთა მცირე უპირატესობით. შეხვედრის დასაწყისში რაულმა ვერ გამოიყენა კარგი მომენტი გოლის გატანისა. 35-ე წუთზე კანდელას შესანიშნავი გადაცემით ტოტი ხსნის ანგარიშს. შესვენების შემდეგ ანგარიშის გაზრდის შანსი ჰქონდა ბატისტუტას, მაგრამ მის მიერ დარტყმული საჯარიმო მოხვდა კარის ძელს. 75-ე წუთზე „რომას" კარში დაინიშნა 11-მეტრიანი, რომელიც ბრწყინვალედ გამოიყენა ფიგუმ. საბოლოოდ ფრე — 1-1. ორივე გუნდი გავიდა მეორე ჯგუფურ ეტაპზე.

**ანდერლეხტი – ლოკომოტივი 1-5**

***ანდერლეხტი:*** დე ვილდე, კრასონი, დე ბეკი, ილიჩი, ჰენდრიკსი, ვან დერჰაგე, ჰასი, ელ საიდი (დე ბილდე 46), იაშუკი (კარაკა 51), მორნარი, არუნა (იესტროვიჩი 63).

***ლოკომოტივი:*** ნიგმატულინი, სენიკოვი, ლეხეტო (ნიჟეგოროდოვი 84), იგნაშევიჩი, ჩუგაინოვი, ჩერევჩენკო, მამინოვი, იზმაილოვი, პიმენოვი (დროზდოვი 75), ლასკოვი, ობიორა (ბუზნიკინი 54).

***გოლები:*** 1-0 ილიჩი (2), 1-1 იზმაილოვი (13), 1-2 სენიკოვი (28), 1-3 პიმენოვი (58), 1-4 ბუზნიკინი (63), 1-5 ბუზნიკინი (69).

ამ გამარჯვებით „ლოკომოტივს" შანსი გაუჩნდა ითამაშოს უეფას თასზე. შეხვედრა დაიწყო მასპინძელთა უპირატესობით და მე-2 წუთზე ილიჩი ხსნის ანგარიშს. მე-13 წუთზე იზმაილოვი ათანაბრებს ანგარიშს. ამის შემდეგ „ლოკომოტივმა" კიდევ 4-ჯერ დალაშქრა მასპინძელთა კარი და მოიპოვა სავსებით დამსახურებული გამარჯვება.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რეალი** | 5 | 4 | 1 | 0 | 13-3 | 13 |
| **რომა** | 5 | 2 | 2 | 1 | 5-4 | 8 |
| **ლოკომოტ.** | 5 | 1 | 1 | 3 | 7-9 | 4 |
| **ანდერლეხტი** | 5 | 0 | 2 | 3 | 3-12 | 2 |

***ბოლო ტური. 30 ოქტომბერი:***
რომა — ანდერლეხტი
ლოკომოტივი — რეალი

### B ჯგუფი

**ბოავიშტა – ლივერპული 1-1**

***ბოავიშტა:*** რიკარდო, რუი ოსკარი (მარტელინიო 26), ტურა, ლიმა, ემანუელი, ფრეშო, პეტი, სანჩესი, დუდა (ბოსინგვა 57), გულარტი (მარსიო სანტოსი 57), სილვა.

***ლივერპული:*** დუდეკი, კარაგერი, ჰენჩოზი, ჰიუპია (რაიტი 6), რიისე, მაკალისტერი (ბერგერი 76), ჰამანი, შმიცერი, მერფი, ფაულერი, ჰესკი.

***გოლები:*** 0-1 მერფი (17), 1-1 სილვა (60).

მიუხედავად ფრედ დამთავრებული შედეგისა, ორივე გუნდი ინარჩუნებს შემდეგ ეტაპზე გასვლას. ანგარიში მე-17 წუთზე გახსნეს ინგლისელებმა, ფაულერის წინააღმდეგ უხეში თამაშისათვის დანიშნული ჯარიმა ბრწყინვალედ გამოიყენა დანი მერფიმ. შეხვედრის მეორე ნახევარში „ბოავიშტას" ბრაზილიელმა ლეგიონერმა სილვამ შეძლო ანგარიშის გათანაბრება. საბოლოოდ ფრე — 1-1.

**ბორუსია – დინამო (კიევი) 1-0**

***ბორუსია:*** ლემანი, ევანილსონი, ვიორნსი, მეტცელდერი, დედე, როიტერი, როსიცკი, ოლისე, სორენსენი (ბუგრი 83), კოლერი, რიკენი (მადუნი 90).

***დინამო:*** რევა, ვაშჩუკი, ფედოროვი, ნესმაჩნი, გავრანჩიჩი (ბოდნარი 62), გიოანე, გუსინი, ჰაცკევიჩი, ბელკევიჩი, მელაშენკო, იდახორი (ჩერნატი 53).

***გოლი:*** როსიცკი (34).

კიევის „დინამომ" განიცადა მეოთხე დამარცხება ამ ტურნირში და უეფას თასზე თამაშის შანსიც დაკარგა. შეხვედრა მიმდინარეობდა ნელ ტემპში. 34-ე წუთზე „ბორუსიას" ჩეხმა ლეგიონერმა როსიცკიმ ფლანგზე მოატყუა ვაშუკი, შეიჭრა საჯარიმოში და უძლიერესი დარტყმით გაიტანა გამარჯვების გოლი. თუ რომელი გუნდები გააგრძელებენ ჩემპიონთა ლიგის შემდეგ ეტაპზე ბრძოლას და რომელი უეფას თასზე, ამას ბოლო ტური გაარკვევს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ლივერპული** | 5 | 2 | 3 | 0 | 5-3 | 9 |
| **ბოავიშტა** | 5 | 2 | 2 | 1 | 8-6 | 8 |
| **ბორუსია** | 5 | 2 | 2 | 1 | 6-5 | 8 |
| **დინამო** | 5 | 0 | 1 | 4 | 4-9 | 1 |

***ბოლო ტური. 30 ოქტომბერი:***
ლივერპული — ბორუსია
დინამო — ბოავიშტა

### C ჯგუფი

**პანათინაიკოსი – შალკე 2-0**

***პანათინაიკოსი:*** ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, სეიტარიდისი (სარიჩი 69), მიჰაელსენი, ვოკოლისი, პაულო სოუზა, კონსტანტინუ (ვლაოვიჩი 73), ბასინასი (გუმასი 64), ფისასი, კარაგუნისი, ოლისადებე.

***შალკე:*** რეკი, ვან კერკჰოვენი, მატელანი (ბემე 50), ჰაიტო, კმეში, ვალდოხი, ვერმანტი (ტონი 79), ვილმოტსი (მიულდერი 67), მიოლერი, ასამოა, სანდი.

***გოლები:*** ოლისადებე (31), კონსტანტინუ (60).

ბერძნებმა მოიპოვეს მე-4 გამარჯვება და წინასწარ გავიდნენ შემდეგ ეტაპზე. „შალკემ" ამ დამარცხებით დაკარგა მეორე ადგილზე გასვლის შანსი, ხოლო უეფას თასზე რომ ითამაშოს, ამისათვის ბოლო ტურში საკუთარ მოედანზე უნდა დაამარცხოს „არსენალი", ხოლო „მალიორკამ" ასევე საკუთარ მოედანზე უნდა წააგოს „პანათინაიკოსთან". ამ შეხვედრაში ანგარიში 31-ე წუთზე გახსნა პოლონეთის ნაკრების ფორვარდმა ოლისადებემ, ხოლო მეორე ნახევარში ანგარიში გაზარდა უკვე კვიპროსის ნაკრების ფორვარდმა კონსტანტინუმ.

**არსენალი – მალიორკა 3-1**

***არსენალი:*** რაიტი, გრიმანდი (პარლორი 84), კემპბელი, კიოუნი, ლორენი, ვიეირა, ლიუნგბერგი (კანუ 79), ვან ბრონკჰორსტი, პირესი, ანრი, ბერგკამპი (ვილტორდი 72).

***მალიორკა:*** ლეო ფრანკო, ოლაიზოლა, ნადალი, ფატიხი (ბიაჯინი 65), სოლერი, პაუნოვიჩი, კამპანო, ნოვო, მარკოსი (რობლესი 72), დიასი, ლუკე (დომინგუეზ 81).

***გოლები:*** 1-0 პირესი (61), 2-0 ბერგკამპი (63), 2-1 ნოვო (74), 3-1 ანრი (90).

ამ გამარჯვებით „არსენალმა" გაინაღდა ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე თამაში, ვინაიდან ის უკვე სამი ქულით უსწრებს ესპანელებს, ხოლო ბოლო ტურში თუ ინგლისელები დამარცხდებიან, ხოლო ესპანელები მოიგებენ, მაშინ აგროვებენ თანაბარ ქულებს. ამის შემდეგ უეფას წესით თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება პირად შეხვედრას. ესპანეთში „არსენალმა" წააგო 0-1, ხოლო ლონდონში კი აილო დამაჯერებელი რევანში 3-1. ანგარიში ამ შეხვედრაში გაიხსნა შეხვედრის 61-ე წუთზე პირესის მიერ, ორიოდე წუთის შემდეგ კი ბერგკამპი ორამდე ზრდის ანგარიშს. 74-ე წუთზე ნოვო ამცირებს სხვაობას ანგარიშში, ხოლო მსაჯის მიერ დამატებულ მესამე წუთზე ანრის გააქვს მესამე გადამწყვეტი გოლი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ***პანათინაიკ.*** | *5* | *4* | *0* | *1* | *8-2* | *12* |
| ***არსენალი*** | *5* | *3* | *0* | *2* | *8-6* | *9* |
| ***მალიორკა*** | *5* | *2* | *0* | *3* | *3-9* | *6* |
| ***შალკე*** | *5* | *1* | *0* | *4* | *6-8* | *3* |

***ბოლო ტური. 30 ოქტომბერი:***
შალკე — არსენალი
მალიორკა — პანათინაიკოსი

### D ჯგუფი

**პსვ – ნანტი 0-0**

***პსვ:*** ლუდევიკსი, ოიერი, ფაბერი, ჰაინტცი, ჰოფლანდი, რომედალი (ბრიუგინკი 62), ლეჩიუსი, ფოგელი (დე იონგი 80), ბუმა (გახოკიძე 84), ჰესელინკი, კეჟმანი.

***ნანტი:*** ლანდრო, ფაბრი, ლასპალი, ჟილე, არმანდი, ბერსონი (სავინიო 46), ჯემბა, კვინტი (ოლემბე 82), ზიანი, და როშა, ანდრე (დეროლი 82).

ამ შეხვედრის ფრედ დამთავრება ხელს აძლევს რომის „ლაციოს", რომელსაც შანსი გაუჩნდა იბრძოლოს შემდეგ ეტაპზე გასასვლელად.

ამ შეხვედრაში პსვ ბევრს უტევდა, მაგრამ უშედეგოდ, „ნანტის" დაცვა თამაშობდა უშეცდომოდ და არ დაუტოვა არავითარი შანსი მასპინძლებს გამარჯვების მოსაპოვებლად.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ***ნანტი*** | *5* | *2* | *2* | *1* | *7-3* | *8* |
| ***პსვ*** | *5* | *2* | *1* | *2* | *6-7* | *7* |
| ***გალათასარაი*** | *5* | *2* | *1* | *2* | *3-4* | *7* |
| ***ლაციო*** | *5* | *2* | *0* | *3* | *4-6* | *6* |

***ბოლო ტური. 30 ოქტომბერი:***
ნანტი — ლაციო
გალათასარაი — პსვ

**ლაციო – გალათასარაი 1-0**

***ლაციო:*** პერუცი, სტამი (პანკარო 46), ნესტა, ფავალი, სეზარი, ჯანიჩედა, ფიორე (სტანკოვიჩი 62), მენდიეტა, კლაუდიო ლოპესი (ს. ინძაგი 71), კრესპო.

***გალათასარაი:*** მონდრაგონი, ვედატი (სუატ კაია 16), ემრე ასიკი, ვიქტორია (შერკანი 81), პერესი, ბიულენტ აკინი, სერგენი, ფლერკვინი, ერგიუნი, კარანი (არიფი 64), ჰასანი შაში.

***გოლი:*** სტანკოვიჩი (76).

რომის „ლაციომ", რომელმაც სტარტზე ზედიზედ სამი შეხვედრა წააგო, ამ გამარჯვებით შანსი გაიჩინა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად. ამ შეხვედრაში „ლაციოს" გამარჯვება მოუტანა შეცვლაზე შემოსული სტანკოვიჩის ბრწყინვალე დარტყმამ.


ანდერლეხტი — ლოკომოტივი




ბოავიშტა — ლივერპული


პანათინაიკოსი — შალკე



# ჩემპიონთა ლიგა

## პირველი ჯგუფური ეტაპი (V ტური)

### E ჯგუფი

**იუვენტუსი – პორტუ 3-1**

***იუვენტუსი:*** ბუფონი, ტუდორი, მონტერო, პარამატი, ტიურამი, ტაკინარდი, ძამბროტა (ძენონი 72), დავიდსი (ბირინდელი 88), ნედვედი, დელ პიერო (მარესკა 75), ტრეზეგე.
***პორტუ:*** ოვჩინიკოვი, იბარა (ქუნიორი 75), მარიო სილვა, ანდრადე, კარვალიო. კოშტინია, სოდერსტრიომი, დეკო (რაფაელი 67), კლეიტონი (პოსტიგა 61), ნუნო კაპუჩო, პენა.
***გოლები:*** 0-1 კლეიტონი (13), 1-1 დელ პიერო (32), 2-1 მონტერო (47), 3-1 ტრეზეგე (73).

ამ მოგებით „იუვენტუსმა" გაინაღდა მეორე ჯგუფურ ეტაპზე თამაში. იტალიის ჩემპიონატში „იუვენტუსს" ზედიზედ ოთხი ტურია მოგება არ ჰქონდა. ეს შეხვედრა იტალიელებმა უხეიროდ დაიწყეს, მე-13 წუთზე საჯარიმოდან (დაახლოებით 25 მ) კლეიტონმა გაუტანა ბუფონს არც თუ ძნელი ბურთი. მხოლოდ შეხვედრის 30-ე წუთზე შექმნეს იტალიელებმა პირველი სახიფათო მომენტი. 32-ე წუთზე დელ პიერო საჯარიმოდან ათანაბრებს ანგარიშს. მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, როცა დელ პიეროს მიერ ჩამოწოდებული კუთხურიდან მონტეროს წინ გაჰყავს „იუვენტუსი", ხოლო 73-ე წუთზე ნედვედის საუცხოო გადაცემის შემდეგ, ტრეზეგემ ანგარიში გახადა 3-1.

**რუსენბორგი – სელტიკი 2-0**

***რუსენბორგი:*** არასონი, ოლსენი, ჰოფტუნი, ბასმა, საარინენი, ბერგი (ვინსნესი 74), სტრანდი, სკამელსრუდი, ჯორჯე (ბ. იონსენი 83), ბრატბაკი, რუშფელდტი.
***სელტიკი:*** დუგლასი, მიალბიუ, ბალდე, ვალგარენი, აგატე, ლამბერი, ლენონი, პეტროვი (მორავჩიკი 68), ტომპსონი (ჰარტსონი 79). ლარსონი, სატონი.
***გოლები:*** ბრატბაკი (19,36).

ჯგუფის აუტსაიდერმა „რუსენბორგმა" ამ მოგებით მცირეოდენი შანსი გაიჩინა მეორე ადგილზე გასასვლელად. მომდევნო ტურში ნორვეგიელებმა უნდა დაამარცხონ „პორტუ" პორტუგალიაში ორი ბურთის სხვაობით ან ანგარიშით 3-2 და „იუვენტუსმა" არ უნდა წააგოს „სელტიკთან", მხოლოდ ამ შემთხვევაში გადის რუსენბორგი მეორე ადგილზე.

ახლა კი ცოტა რამ თვით შეხვედრაზეც ვთქვათ. ანგარიში შეხვედრის მე-19 წუთზე გახსნა ბრატბაკმა, მანვე შეხვედრის 36-ე წუთზე „დუბლი" შეასრულა. პირველი ნახევრის დასასრულს იმავე ბრატბაკის წაქცევისთვის დაინიშნა 11-მეტრიანი, მაგრამ სკამელსრუდის დარტყმა მო-


რუსენბორგი — სელტიკი


იუვენტუსი — პორტუ

იგერია დუგლასმა. აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ ბრატბაკი ადრე გამოდიოდა „სელტიკის" შემადგენლობაში, მაგრამ ძირითადში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და დატოვა შოტლანდიელთა რიგები.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იუვენტუსი** | 5 | 3 | 2 | 0 | 8-4 | 11 |
| **პორტუ** | 5 | 2 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| **სელტიკი** | 5 | 2 | 0 | 3 | 4-8 | 6 |
| **რუსენბორგი** | 5 | 1 | 1 | 3 | 4-5 | 4 |

***ბოლო ტური. 31 ოქტომბერი:***
სელტიკი — იუვენტუსი
პორტუ — რუსენბორგი

### F ჯგუფი

**ფენერბახჩე – ბაიერი 1-2**

***ფენერბახჩე:*** რუშთუ, მერიჩი, დოგანი, უიგარი, ალი (რაპაიჩი 77), იუსუფი (ოგიუნი 52), ლაზეტიჩი (ბაირაკტარი 65), ოქტაი, გიუნესი, რევივო, ჯონსონი.
***ბაიერი:*** ბუტი, სებეჩენი, ნოვოტნი, ქიუკოვიჩი, ბალაკი, ბასტურქი (ვრანიეში 90), შნაიდერი, რამელოვი, ზე რობერტო, კირსტენი (ბრჟარიჩი 68), ნოივილი (ოქიგვე 83).
***გოლები:*** 0-1 შნაიდერი (21), 0-2 კირსტენი (34), 1-2 ოქტაი (40).

**ლიონი – ბარსელონა 2-3**

***ლიონი:*** კუპე, ედმილსონი (კასაპა 26), ვიოლო, კარე, ჟუნინიო, გოვუ, შანელე (დელმოტი 59), ფოე, ლუინდულა, მიულერი, ბრეშე (ლეიგლი 77).
***ბარსელონა:*** ბონანო, პუიოლი, კრისტანვალი, დე ბური, გაბრი, კოკუ (რაიციგერი 58), ხავი, კოკუ, ლუის ენრიკე (ჰერარდი 73), რივალდო (ჯეოვანი 86), კლიუვერტი.
***გოლები:*** 0-1 კლიუვერტი (9), 0-2 რივალდო (18), 1-2 ლუინდულა (66), 2-2 კარე (88), 2-3 ჰერარდი (90).

ამ ჯგუფში ყველაფერი გარკვეულია, „ბარსელონამ" და „ბაიერმა" გაინაღდეს მეორე ჯგუფური ეტაპის საგზურები, ხოლო „ლიონმა" კი უეფას თასზე თამაში. აღსანიშნავია, აგრეთვე ის ფაქტი, რომ თურქეთის „ფენერბახჩე" ერთადერთი გუნდია, რომელმაც ხუთივე შეხვედრა წააგო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბარსელონა** | 5 | 4 | 0 | 1 | 11-5 | 12 |
| **ბაიერი** | 5 | 4 | 0 | 1 | 8-5 | 12 |
| **ლიონი** | 5 | 2 | 0 | 3 | 6-7 | 6 |
| **ფენერბახჩე** | 5 | 0 | 0 | 5 | 3-11 | 0 |

***ბოლო ტური. 31 ოქტომბერი:***
ბაიერი — ლიონი
ბარსელონა — ფენერბახჩე

### G ჯგუფი

**დეპორტივო – ლილი 1-1**

***დეპორტივო:*** ნუნო, ექტორი, ელდერი, კაპდევილია, დონატო, დიუშერი, ვიქტორი, ემერსონი (სერხიო 61), ვალერონი (ჯალმინია 70), ტრისტანი (პანდიანი 77), ამავისკა.
***ლილი:*** ვიმბე, პიშო, ნდიაიე (ბენუა შეირუ 82), ეკერი, ფახმი, ლანდრინი, ბასირი (ბეკი 90), დ'ამიკო, ბრუნო შეირუ, სტერჟოვსკი (კოლო 86), დელპერი.
***გოლები:*** 1-0 ტრისტანი (13 პენ), 1-1 ბრუნო შეირუ (20 პენ).

მიუხედავად ფრედ დამთავრებული შეხვედრისა, „დეპორტივომ" გაინაღდა მეორე ჯგუფურ ეტაპზე თამაში. ამ შეხვედრაში ანგარიში მე-13 წუთზე დიეგო ტრისტანის წაქცევისათვის დანიშნული 11-მეტრიანი თვით დაზარალებულმა გამოიყენა. ფრანგებმა ანგარიში მე-20 წუთზე გაათანაბრეს, ასევე 11-მეტრიანი საჯარიმოდან, დარჩენილ დროში ესპანელები ბევრს უტევდნენ, მაგრამ ფრანგების ორგანიზებული დაცვა უმკლავდებოდა ესპანელთა ზეწოლას. საბოლოოდ ფრე 1-1.

**მანჩესტერი – ოლიმპიაკოსი 3-0**

***მანჩესტერი:*** ბარტეზი, გ. ნევილი, ბრაუნი, ირვინი, ბლანი, ბატი (სოლსკიაერი 72), ბექჰემი, სქოულზი, ვერონი, ვან ნისტელროი, გიგზი.
***ოლიმპიაკოსი:*** ელეფტეროპულოსი, პაცაცოღლუ, გიანაკოპოლუსი (რობერტსი 83), ანატოლაკისი, კონტისი. ოფორი კუაიე, ამანატიდისი, კარამბე, მავროგენიდისი (ჰურსანიდისი 46), ალექსანდრისი (ალვესი 62), ჯორჯევიჩი.
***გოლები:*** სოლსკიაერი (79), გიგზი (88), ვან ნისტელროი (90)

შეხვედრის დასაწყისიდანვე გამოიკვეთა ინგლისელთა უპირატესობა, მაგრამ პირველი ბურთი მხოლოდ შეხვედრის 79-ე წუთზე გავიდა. მანამდე კი შეხვედრის 62-ე წუთზე ბერძნების კარში ინიშნება 11-მეტრიანი, მაგრამ ელეფტეპოლუსი იგერიებს ვან ნისტელროის დარტყმას. 79-ე წუთზე შემოსული სოლსკიაერი ხსნის ანგარიშს, ხოლო შემდეგ ვერონის გადაცემით ჯერ გიგზმა, შემდეგ ვან ნისტელროიმ ანგარიში 3-0-მდე გაზარდეს. ამ მოგებით „მანჩესტერმა" გაინაღდა მეორე ჯგუფურ ეტაპზე თამაში.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მანჩესტერი** | 5 | 3 | 0 | 2 | 9-5 | 9 |
| **დეპორტივო** | 5 | 2 | 3 | 0 | 9-7 | 9 |
| **ლილი** | 5 | 1 | 2 | 2 | 6-6 | 5 |
| **ოლიმპიაკოსი** | 5 | 1 | 1 | 3 | 5-11 | 4 |

***ბოლო ტური. 31 ოქტომბერი:***
ლილი — მანჩესტერი
ოლიმპიაკოსი — დეპორტივო

### H ჯგუფი

**ბაიერნი – ფეიენოორდი 3-1**

***ბაიერნი:*** კანი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ლიზარაზიუ (ტარნატი 46), ფინკი (ტიამი 83), ჰარგრეივსი, სალიჰამიჯიჩი, პაულო სერჟიო (ციკლერი 69), სანტა კრუსი, პიზარო.
***ფეიენოორდი:*** ზუტებირი, კოლენი, ვან გობელი (გიანი 46), ვან ვონდერენი, რეასა, ემერტონი, ბოსველტი, პააუვე, ვან გასტელი (შმოლიარევი 80), ელმანდერი, ონო.
***გოლები:*** 1-0 ვან გობელი (12 საკ. კარში), 1-1 ელმანდერი (25), 2-1 სანტა კრუსი (30), 3-1 სანტა კრუსი (90).

ამ გამარჯვებით „ბაიერნმა" მეორე ჯგუფური ეტაპის საგზური მოიპოვა, ხოლო „ფეიენოორდს" უეფას საგზური რომ მოიპოვოს, ბოლო შეხვედრაში მოსკოვის „სპარტაკთან" ფრეც ხელს აძლევს.

ამ შეხვედრაში ანგარიში მე-12 წუთზე გაიხსნა, როცა ვან გობელმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჰრა, ხოლო 25-ე წუთზე „ფეიენოორდის" შვედმა ლეგიონერმა ელმანდერმა ისარგებლა კუფურის შეცდომით და გაათანაბრა ანგარიში, ხუთიოდე წუთის შემდეგ „ბაიერნის" შესანიშნავი კომბინაცია პიზარო — პაულო სერჟიო — სანტა კრუსი მთავრდება ამ უკანასკნელის გოლით, ხოლო მსაჯის მიერ დამატებულ დროში იმავე სანტა კრუსმა ანგარიში გახადა 3-1.

**სპარტაკი – სპარტა 2-2**

***სპარტაკი:*** ლევიცკი, კოვტუნი, კებე, ანანკო, პარფენოვი, ბარანოვი, ციხმეისტრუკი (მიტრევსკი 46), ბულატოვი, ტიტოვი, რობსონი, ბესჩასნიხი.
***სპარტა:*** ჩეჰი, გრიგერა, ლაბანტი, ჰაშეკი, ნოვოტნი, მიჰალეკი (ბაბნიჩი 73), ჰიუბშმანი, სიონკო (სლონჩიკი 83), გოლუბი (ზელენკა 57), იაროშიკი, კინცლი.
***გოლები:*** 1-0 [illegible] (4), 1-1 გოლუბი (29), 2-1 ბესჩასნიხი (34), 2-2 ბაბნიჩი (90)

მოსკოვის „სპარტაკის" უსახურმა თამაშმა ასახვა ჰპოვა გულშემატკივართა დასწრებაში — მხოლოდ 4000 მაყურებელი მოვიდა მატჩზე. ანგარიში დასაწყისშივე გახსნეს მოსკოველებმა, მაგრამ პირველი ნახევრის 29-ე წუთზე გოლუბი ათანაბრებს ანგარიშს, ხუთიოდე წუთის შემდეგ ბესჩასნიხს „სპარტაკი" ისევ წინ გაჰყავს, ხოლო მსაჯის მიერ დამატებულ დროში, როცა მთელი „სპარტა" უტევდა, შეცვლაზე შემოსული ბაბნიჩი ათანაბრებს ანგარიშს, საბოლოოდ ფრედ — 2-2.

იმისათვის, რომ მოსკოვის „სპარტაკმა" მოიპოვოს უეფას თასზე მონაწილეობის უფლება, ბოლო ტურში როტერდამში უნდა დაამარცხოს ადგილობრივი „ფეიენოორდი", ან ფრედ დაამთავროს შეხვედრა 2-2 ან 3-3.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბაიერნი** | 5 | 3 | 2 | 0 | 13-5 | 11 |
| **სპარტა** | 5 | 3 | 2 | 0 | 10-2 | 11 |
| **ფეიენოორდი** | 5 | 0 | 2 | 3 | 5-13 | 2 |
| **სპარტაკი** | 5 | 0 | 2 | 3 | 6-14 | 2 |

***ბოლო ტური. 31 ოქტომბერი:***
ფეიენოორდი — სპარტაკი
სპარტა — ბაიერნი


სპარტაკი — სპარტა


დეპორტივო — ლილი

## ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

### ინგლისი (გადადებული მატჩები)

ასტონ ვილა — ჩარლტონი 1-0
საუთჰემპტონი — იფსვიჩი 3-3
ვესტ ჰემი — ჩელსი 2-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ლიდსი** | 9 | 5 | 4 | 0 | 12-3 | 19 |
| **არსენალი** | 9 | 5 | 3 | 1 | 21-8 | 18 |
| **ასტონ ვილა** | 9 | 5 | 3 | 1 | 14-6 | 18 |
| **მანჩესტერი** | 9 | 5 | 2 | 2 | 26-16 | 17 |
| **ლივერპული** | 8 | 5 | 1 | 2 | 15-9 | 16 |
| **ბოლტონი** | 10 | 4 | 3 | 3 | 12-11 | 15 |
| **ჩელსი** | 9 | 3 | 5 | 1 | 13-9 | 14 |
| **ევერტონი** | 9 | 4 | 2 | 3 | 15-12 | 14 |
| **ტოტენჰემი** | 10 | 4 | 2 | 4 | 16-14 | 14 |
| **ნიუკასლი** | 9 | 4 | 2 | 3 | 15-13 | 14 |
| **ბლექბერნი** | 10 | 3 | 4 | 3 | 18-14 | 13 |
| **სანდერლ.** | 10 | 3 | 3 | 4 | 9-12 | 12 |
| **მიდლსბრო** | 10 | 3 | 2 | 5 | 10-17 | 11 |
| **ვესტ ჰემი** | 9 | 3 | 2 | 4 | 9-17 | 11 |
| **ჩარლტონი** | 9 | 2 | 4 | 3 | 8-9 | 10 |
| **ფულემი** | 9 | 1 | 5 | 3 | 8-11 | 8 |
| **იფსვიჩი** | 10 | 1 | 5 | 4 | 10-15 | 8 |
| **საუთჰემპტ.** | 9 | 2 | 1 | 6 | 8-17 | 7 |
| **დერბი** | 9 | 1 | 3 | 5 | 7-16 | 6 |
| **ლესტერი** | 10 | 1 | 2 | 7 | 6-23 | 5 |

### ფინეთი

ჰაკა — მიუპა 0-0
ჯაზი — როვანიემი 4-2
იოკერიტი — ჰიკი 1-2
კუოპიო — ვაასა 2-4
ლაჰტი — ინტერი 1-2
ტამპერე — ატლანტისი 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჰიკი** | 32 | 19 | 9 | 4 | 63-18 | 66 |
| **ტამპერე** | 32 | 20 | 5 | 7 | 46-31 | 65 |
| **მიუპა** | 32 | 17 | 10 | 5 | 45-23 | 61 |
| **ჰაკა** | 32 | 14 | 9 | 9 | 43-28 | 51 |
| **ინტერი** | 32 | 14 | 4 | 14 | 42-43 | 46 |
| **ვაასა** | 32 | 14 | 3 | 15 | 50-50 | 45 |
| **ატლანტისი** | 32 | 11 | 9 | 12 | 41-47 | 42 |
| **კუოპიო** | 32 | 8 | 10 | 14 | 34-46 | 34 |
| **ლაჰტი** | 32 | 8 | 9 | 15 | 36-48 | 33 |
| **ჯაზი** | 32 | 7 | 11 | 14 | 36-51 | 32 |
| **იოკერიტი** | 32 | 7 | 6 | 19 | 31-56 | 27 |
| **როვანიემი** | 32 | 5 | 9 | 18 | 25-52 | 24 |

## თასები

### იტალიის II ეტაპი (გადადებული შეხვედრები)

ბოლონია — ემპოლი 1-3 (პირველი შეხვედრა 4-1)
ლეჩე — მესინა 1-3 (1-2)
ჯენოა — პიაჩენცა 1-1 (0-0)
უდინეზე — ტერნანა 2-0 (4-4)
ვერონა — სიენა 3-2 (0-1)
პერუჯა — მოდენა 6-3 (1-1)
ფიორენტინა — კომო 0-2 (0-2)

### დანიის (1/8 ფინალი)

ბრონდბიუ — ოდენსე 2-4
ნესტვედი — ლიუნგბიუ 4-2
კიოგე — აკადემისკი 2-3
ვიბორგი — კოპენჰაგენი 0-2
სკიოლდი — სილკებორგი 1-3

# ახალი საჭადრაკო ვარსკვლავი

**მსოფლიო საჭადრაკო სამყაროში სულ უფრო შთამბეჭდავად იმკვიდრებს ადგილს ახალი სახელი – ალექსანდრ გრიშჩუკი. იგი ჯერ მხოლოდ 17 წლისაა, მაგრამ უკვე დიდოსტატია, რეიტინგში საკმაოდ მაღალი ქულები აქვს – 2669. რაც ყველაზე მთავარია, მთელი საჭადრაკო სამყარო ამ ახალგაზრდამ გააოცა ჭადრაკის თანამედროვე ლიდერებთან შეუპოვარი ბრძოლის უნარით. რუსეთის ამ ახალ საჭადრაკო ტალანტს ესაუბრება ჟურნალისტი ლეონიდ ნაროდიცკი.**


გრიშჩუკი

● ***ალექსანდრ, გვითხარით გეთაყვა, ნახევარ წელიწადში როგორ შეძელით აგემაღლებინათ თქვენი რეიტინგი ასზე მეტი პუნქტით და შესულიყავით საჭადრაკო ელიტაში? ახლა თქვენ უკვე, როგორც ტოლი-ტოლთან იბრძვით პლანეტის საუკეთესო დიდოსტატებთან...***

— პირველ ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ ასეთ ასაკში ნებისმიერ მოჭადრაკეშია მუხტი ნახტომისათვის. ეს ბუნებრივი პროცესია. ამასთან, ცხადია, საჭიროა ბევრი მუშაობა, ეტყობა იღბლიანიც ვარ.

● ***მწვრთნელი? ნუთუ მას არ უდევს წილი თქვენს წარმატებაში?***

— პირიქით, შესანიშნავი მწვრთნელი მყავს – ანატოლი ბიხოვსკი. ეს მისი დიდი დამსახურებაა, რასაც მივაღწიე ცხოვრებაში. წლეულს წარმატებით გამოვედი ლინარესის სუპერტურნირში და მსოფლიო თასზე სწრაფ ჭადრაკში კანში. მე ძალიან ვაფასებ მწვრთნელის ღვაწლს პროფესიულ ზრდაში.

● ***რა მიზანს ისახავთ მსოფლიო ჩემპიონატისთვის?***

— რა თქმა უნდა, მოგება მსურს!

● ***თუ შეძელით ფინალში გასვლა, ვისთან ისურვებდით შეხვედრას?***

— თუ ვის შევხვდები ფინალში დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ნებისმიერ მეტოქესთან მომიწევს მძიმე და დაძაბული პაექრობა. და მაინც, ერთადერთი, რასაც ვისურვებდი, ეს არის ფინალში ჩემს თანამემამულესთან მომიწიოს თამაშმა. ასეთ შემთხვევაში ჩემპიონი რუსეთს ეყოლებოდა.

● ***როგორია თქვენი აზრი, დროის შემცირების ახალ წესთან დაკავშირებით?***

— ამის მომხრე ყოველთვის ვიყავი. ფიდემ სრულად არ გაიაზრა შეთავაზებები, თუმცა კონტროლი 6-დან 4 საათამდე შეამცირა პარტიაზე. არ ვეთანხმები ამ გადაწყვეტილებას. თუ შემცირება იყო, ორი საათი რა არის, მეტით უნდა შემცირებულიყო, თუნდაც დღეში ორი პარტიის თამაშის დაწესებით. ჩემი აზრით, ეს სანახაობრივადაც საინტერესო იქნებოდა, გნებავთ, ტელევიზიითაც.

● ***ამას წინათ, დამთავრდა ევროპის კლუბების თასის მე-17 გათამაშება. რუსეთის გუნდმა, რომელშიაც თქვენ გამოდიოდით, პირველობა მოიპოვა. როგორია შთაბეჭდილებები?***

— შთაბეჭდილება, ცხადია, კარგი დამრჩა. ჩვენ ხომ დიდი ტურნირი მოვიგეთ. შესანიშნავი გუნდი გვყავდა. მეორე პრიზიორებს – პოლონელებს, შთამბეჭდავი სხვაობით ვაჯობეთ.

● ***ბოლო შეკითხვა: ვინ არის დღეს, თქვენი აზრით, №1 მოჭადრაკე მსოფლიოში?***

— ჟურნალისტები, ცხადია, ყოველთვის იძლევით პროვოკაციულ შეკითხვებს (იცინის). მე მიმაჩნია, რომ ამჟამად, ანბანის მიხედვით: სამეული ანანდი, კასპაროვი, კრამნიკი სხვებზე ძლიერად თამაშობენ. აი, ვინ არის უძლიერესი ამ სამეულიდან, ძნელი სათქმელია.

# ბელგიის საელჩომ რუსებს ვიზა არ მისცა

იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის საკალათბურთო გუნდი „სამარა“ ბელგიაში ვერ ჩავიდა ჩრდილოევროპის ლიგის მატჩის სათამაშოდ, გუნდს ჩაეთვალა ტექნიკური დამარცხება 0:20. მიზეზი გახდა ის, რომ კლუბ „პეპინსტერთან“ მატჩისთვის რუსებს ბელგიის საელჩომ ვიზა არ მისცა. „სამარის“ ხელმძღვანელობამ უმალვე აფრინა ახსნა-განმარტება მომხდარის თაობაზე ლიგის ხელმძღვანელობაში.

დავძენთ, რომ პირველი შეხვედრა რუსეთის გუნდმა წააგო უკრაინის „კიევთან“ – 79:91 ***(იხ. „მე- ჯგ.“).***



## ნომრიდან ნომრამდე

● **შტეფი გრაფმა და ანდრე აგასიმ ორი წლის ერთად ცხოვრების შემდეგ, ქორწინება ოფიციალურად გააფორმეს. ცნობილი ჩოგბურთელების შეუღლების ცერემონიალი ლას-ვეგასში გაიმართა, სადაც აგასის ოჯახის მუდმივი საცხოვრებელია. ზეიმზე მიწვეულნი იყვნენ მხოლოდ ახალშეუღლებულთა ნათესავები და ახლო მეგობრები. გრაფი ახლა 32 წლისაა, აგასი – 31-ის. ანდრე აგასისთვის ეს მეორე ქორწინებაა. მისი პირველი მეუღლე იყო ჰოლივუდის მსახიობი ბრუკ შილდსი.**




უტკინი

● **ნტვ-ს** სპორტული კომენტატორი ვასილი უტკინი სახრახნისით ზურგში ორი დარტყმით დაჭრეს. ამის თაობაზე თავად აცნობა სამსახურში სასწრაფო დახმარების მანქანიდან. დაჭრილს უცნობია თუ რა გადახდა თავს, მაგრამ ამ ინფორმაციას არ ახმაურებენ. უტკინს საავადმყოფოში მიყვანისთანავე ჩაუტარდა ოპერაცია, რომელიც 1,5 საათს გაგრძელდა. ჭრილობები ღრმაა, მაგრამ სასიცოცხლო ორგანოები არ დაზიანებულა.

## უკრაინელი ველომრბოლი „ფასა ბორტოლოში“


სერგეი გონჩარი

მსოფლიო ექსჩემპიონი უკრაინელი ველომრბოლი სერგეი გონჩარი, შვეიცარიელი სვენ მონტგომერი და იტალიელი ჯანი ფრეზერი გახდნენ მსოფლიო რეიტინგში ლიდერის – იტალიის გუნდის „ფასა ბორტოლოს“ მთავარი შენაძენი მომავალი სეზონისთვის. იმავდროულად ამ გუნდიდან „ტაკონში“ გადავიდა იტალიელი დარიო ფრიგო, რომელიც „ჯირო იტალიის“ ბოლო ასპარეზობაში დოპინგის მიღებაში ამხილეს.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**26 ოქტომბერი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.20), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 22.40). ***ESPN.*** ფეხბურთი: იტალიის ჩემპიონატი. მიმოხილვა (08.30), „ბოლონია“ – „იუვენტუსი“ (23.00). მსოფლიო თასი. მიმოხილვა (17.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გზით (13.30), უძლიერესი ადამიანი „რანპრი (1.00). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა: „ლიონი“ – „ბარსელონა“ (14.20), „არსენალი“ – „მალიორკა“ (16.10), მიმოხილვა (17.50), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (1.50). ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ევროლიგა (11.45), კიკბოქსინგი. პროფესიონალთა მატჩი (13.15), სპორტული ცეკვები. 2001 წლის მსოფლიო თასი (15.15), ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი (17.30, 20.00), საპლაჟო წყალბურთი. ევროპის თასი (19.00), ტაილანდური კრივი (0.15), „ბილიარდის მეფეები“ (1.25).

**27 ოქტომბერი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის საკვირაო მიმოხილვა (19.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***РТР.*** კრივი. საერთაშორისო ტურნირი (1.45). ***ESPN.*** ჩემპიონთა ლიგა (09.30), ინგლისის ჩემპიონატი: „მანჩესტერი“ – „ბოლტონი“ (10.00), „მანჩესტერი“ – „ლიდსი“, პირდაპირი (15.50), მიმოხილვა (18.00), ჩემპიონატის მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი (18.50), ჩემპიონატის მატჩი (21.50), „მანჩესტერი“ – „ლიდსი“ (00.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. 2002 წელს მსოფლიო ჩემპიონატი. აზიის ზონა (13.45), ფარიკაობა, მსოფლიო ჩემპიონატი (20.20), სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი (2.15). ***НТВ плюс футбол.*** მსოფლიო ფეხბურთი (17.00), გერმანიის (19.50), ინგლისის (21.40), იტალიის (23.25) ჩემპიონატები. ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი (23.40), კალათბურთი. ევროლიგის მატჩების მიმოხილვა (19.25), ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (19.55), ბატუტზე ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი (22.30).

**28 ოქტომბერი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (23.30), ***მე-9 არხი.*** ფეხბურთი. ევროპის სტადიონებზე (12.30), მსოფლიო ფეხბურთი: (19.35). ***ESPN.*** ფეხბურთი: ინგლისის ჩემპიონატი (12.00), ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა (14.00), იტალიის ჩემპიონატი (15.00), ინგლისის ჩემპიონატი: მიმოხილვა (17.00), „იპსვიჩი“ – „ვესტ ჰემი“, პირდაპირი (18.00), „დერბი“ – „ჩელსი“, პირდაპირი (21.00). ***EUROSPORT.*** სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი (2.45), ფეხბურთი. 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გზით (15.00), ფარიკაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი (19.00), სპორტის ახალი ამბები აშშ-დან (22.45, 4.00), ***НТВ плюс футбол.*** იტალიის ჩემპიონატი (15.40, 23.30), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (18.05), ინგლისის ჩემპიონატი (19.55), მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ქალები. რუსეთი – ესპანეთი (21.50), გერმანიის ჩემპიონატი (1.35). ***НТВ плюс спорт.*** ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.45, 18.35), ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი (14.30), კალათბურთი. ევროპის ევროლიგის მატჩების მიმოხილვა (16.30), სამბო. მსოფლიო ჩემპიონატი (17.35), ტაილანდური კრივი (1.25).

## კროსვორდი №84

**თარაზულად:** 7. მწვერვალი კავკასიონზე, 8. „ინტერის“ და იტალიის ნაკრების თავდამსხმელი, 9. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 10. სასიმაღლო საჰაერო ხტომების ინვენტარი, 13. წარსულში ცნობილი ქართველი მოჭიდავე, 14. ბრაზილიის ნაკრებისა და „ბავარიის“ ცენტრალური თავდამსხმელი, 18. გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრების მეკარე, 19. მთავარი ფიგურა საჭადრაკო დაფაზე, 20. სპორტის სახეობა, 24. იაპონიის ნაკრების ფეხბურთელი, 1998 წ. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, 26. ცნობილი ვეტერანი ვაჟი ჩოგბურთელი (აშშ), 27. იტალიის საფეხბურთო გუნდი, 28. ავსტრიის საფეხბურთო გუნდი, 30. მძლეოსნობაში სატყორცნი იარაღი, 31. სპორტის სამაგიდო სახეობა.

**შვეულად:** 1. ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი, 2. ილეთი ფარიკაობაში, 3. ვეტერანი ქართველი ფალავანი, 4. რაგბის საერთაშორისო ფედერაცია შემოკლებით, 5. რუსეთის ნაკრების ფეხბურთელი ქართული გვარით, 6. ქართველი ველომრბოლი, 11. მძლეოსნობის სატყორცნი იარაღი, 15. საქართველოს სათხილამურო ცენტრი, 16. სპორტნაწარმის გერმანული ფირმა, 17. ცნობილი უნგრელი ვაჟი მოჭადრაკე, 21. მძლეოსნობის ინვენტარი (დაბრკოლება), 22. ფორმულაში მონაწილე საავტომობილო ფირმა, 23. რუმინეთის საფეხბურთო კლუბი, 25. ფეხბურთელის ჩასაცმელი, 29. ფრანგი ფეხბურთელი.

### კროსვორდი №83 ● პასუხები:

**თარაზულად:** 6. სტარტიორი, 7. ორმო, 8. როა, 9. ნაპრალი, 11. ჩუი, 13. მეტრეველი, 14. ტუა, 16. „ლილი“, 18. კისრული, 19. კოლინა, 22. აიბა, 23. რუმენიგე, 25. „ბასტია“, 26. ისარი, 27. ანა, 28. ნოდია, 29. ირაო.

**შვეულად:** 1. იამასიტა, 2. „დილო“, 3. ფიფა, 4. გოგია, 5. ამორო, 9. ნურმი, 10. პორტიე, 12. ელცინი, 14. ტრეკი, 15. აკრობატი, 17. გოგელია, 20. ნიგერია, 21. ოუენსი, 24. აბრა.

## პროფესიული კრივის სამყაროში

### მერსერმა არ მიიღო კლიჩკოს გამოწვევა

ამერიკელმა მძიმეწონოსანმა რეი მერსერმა კეთილგონივრული უარი შეუთვალა უკრაინელ ვლადიმირ კლიჩკოს ებრძოლათ ვბო-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონობისთვის. ეს შეხვედრა 1 დეკემბრისთვის იყო დაგეგმილი ნიუ-იორკში. გაირკვა, რომ მერსერმა თითი დაიზიანა, როცა დარტყმა მიაყენა ბრაიან სკოტს მეორე რაუნდში. ორთაბრძოლა გაიმართა 13 ოქტომბერს. კლიჩკოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ შეეცდებიან მსოფლიო ჩემპიონს, რომელიც ახლა 40 წლისაა, გამოუძებნონ სხვა მეტოქე, მაგრამ უცნობია გაიმართება თუ არა ეს შეხვედრა აშშ-ში.

### ვბა-ს ჩემპიონი 23 წლის ასაკში გახდა პენსიონერი


ნიიდა

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, 23 წლის იაპონელი იუტაკა ნიიდა (14-0-3) კრივს თავს ანებებს. მიზეზი სავარაუდოდ ორია: პირველი – მენეჯერთან ურთიერთობის გართულება, მეორე – მოკრივემ საკუთარი საიუველირო მაღაზია გახსნა და ფიქრობენ, რომ ახლა ამ ახალგაზრდას სურს მთელი დრო ბიზნესს დაუთმოს. არადა, ნიიდა ერთადერთია მსოფლიო ჩემპიონ იმ 45 იაპონელი პროფესიონალი მოკრივიდან, რომელიც ასე ადრე ტოვებს რინგს, თანაც ისე, რომ არც ერთი შეხვედრა არ წაუგია.

მსოფლიოს ასოციაციამ უკვე დაასახელა ის ორი მოკრივე, რომლებიც ერთმანეთს შეებრძოლებიან მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ნიიდას წონაში (48 კგ). ესენია: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონები კეიტარო ხოშინო (იაპონია) და ხომა გამბოა (ფილიპინები).

## ფორმულა-1

### ბურტი წელსვე დაბრუნდება?

„პროსტის“ პილოტი ლუჩანო ბურტი „ფორმულა-1“-ში მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო სამ რბოლაში არ მონაწილეობდა ტრავმის გამო. ექიმების აკრძალვის მიუხედავად, ბურტს გადაწყვეტილი აქვს 10-11 ნოემბერს იასპარეზოს კარტინგებით რბოლაში. გუნდი უკვე შედგა, რომელშიაც ლუჩანო ბურტის გარდა, შედიან მისი ძმა – ლეონარდი, აგრეთვე, რენატო რუსო და გილერმე როხა.

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია, ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი თანაგრძნობას უცხადებენ ვეტერან ფალავანს გურამ სალარაძეს ბიძის**

**იორამ სალარაძის**

**გარდაცვალების გამო.**

დაკრძალვა 27 X. სოფ. პატარა ონში (ამბროლაურის რაიონი).

## საჭადრაკო ამოცანა

ჯემალ მახათაძე (ზესტაფონი)



**ნადიშამათი 4 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული (ნადიშამათი 3 სვლაში) საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

**1. მფd4 მფd2 2. c4 კf3. 3. c5 მc6X.**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, 8. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX ● „ლელოს“ კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ სიმ. ნიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.